გაზეთი ბევრია, „ვერცხლია" ერთი

ვერცხლი

ფასი 50 თეთრი

№115 (1010) 24 - 25 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სამართალი

დაეხმარეთ შერიგებაში გოგიას და მიხოს

გვ. 9

ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან იზორიასთან

„ამ ფანტაზიებსა და ექსპერიმენტებში, მიკვირს, როგორ არ გაჩნდა იდეა, ერთი „გასალები" ბარემ ჟურნალისტებისთვის გადაგვეცა!"

რას ფიქრობს პრეზიდენტის შესაძლო ვეტოსა და მოსმენების მთავრობის აღტერნატიულ პროექტებზე შს მინისტრის მოადგილე

გვ. 3

„მე მეოცნებე ნაციონალი ანუ ეროვნული ვარ!"

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

ზაზა მარჯანიშვილის პოლიტიკური თეზისები და მზადება მუსიკალურ პროექტ „სამოსელი პირველისთვის"

გვ. 6-7

დიკლოფენაკი ინფარქტს იწვევს

ვალიდოლი, ვალოკორდინი, კორვალოლი და პირველადი მოხმარების სხვა პრეპარატები შეიძლება, აიკრძალოს — ბრიტანელი მეცნიერების სკანდალური ანგარიში

გვ. 9

რა წერია ძალადობის პრევენციის ეროვნულ სტრატეგიაში მთავრობის ახალი ინიციატივა

გვ. 5

თიბისი ბანკი TBC BANK

წარმოგიდგენთ „ფული და სურვილების" ახალ სეზონს ახალ წამყვანთან, ნათია ზედგინიძესთან ერთად

გვ. 10

ეკლესიის რეკომენდაციით შეწყალებულმა პატიმარმა ეკლესია გაძარცვა

პატიმრის ღღიური

გვ. 8

პატრიარქი ხელისუფლებას ერთსულოვნებას უსურვებს

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით აღვლენილ ქადაგებაში ხელისუფლებას ერთსულოვნება უსურვა.

„ღმერთმა დალოცოს და გაამთლიანოს საქართველო. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ხელისუფლება და მისცეს მას ერთსულოვნება, რათა ღირსეულად ემსახუროს ჩვენს სამშობლოს“, — ბრძანა პატრიარქმა.

ქადაგებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი მეუღლეებთან ერთად დაესწრნენ.

„ინფო 9“

ირაკლი ალასანია კანადაში ჯონ მაკკეინს შეხვდა

კანადაში, ჰალიფაქსის საერთაშორისო უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში, „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ირაკლი ალასანია აშშ-ს კონგრესის დელეგაციას შეხვდა. დელეგაციას სენატორი ჯონ მაკკეინი ხელმძღვანელობს.

როგორც პარტია „თავისუფალ დემოკრატებში“ აცხადებენ, შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრეს და არსებული პრობლემატიკა მიმოიხილეს; ასევე საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზეც იმსჯელეს.

ირაკლი ალასანია კანადაში 20 ნოემბერს გაემგზავრა. მოგვიანებით, დაგეგმილი აქვს შეხვედრები ვაშინგტონსა და ნიუ იორკში, სადაც ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს შიდაპოლიტიკური ვითარება იქნება. გამგზავრებამდე, ალასანიამ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვედრებზე კოლეგებს მიაწვდის ინფორმაციას ქვეყანაში ბოლო დროს განხორციელებულ პოლიტიკურ შეტევაზე ცალკეული პოლიტიკური ლიდერების მიმართ და შეეცდება, განუმარტოს, როგორ შეუძლია აშშ-ს, საქართველოს დაეხმაროს ამ შეცდომების გამოსწორებაში.

„ინფო 9“

ზოგიერთი დასახელების სიგარეტი გაძვირდა

ფასის ზრდა შეეხო „მარლბოროს“, L&M-ს, „ესეს“, „ბონდს“ და „ომეგას“ ქსელის სხვა სიგარეტებს. კერძოდ, სავაჭრო ობიექტებზე განმარტავენ, რომ „მარლბოროს“ ფასმა 30 თეთრით მოიმატა, L&M 40 თეთრით გაძვირდა, მთლიანობაში კი, ფასმა 20-დან 40-თეთრამდე მოიმატა. სხვა დასახელების სიგარეტი არ გაძვირებულა.

აღსანიშნავია, რომ სიგარეტის ფასმა იქამდე მოიმატა, ვიდრე თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი გაძვირდება. 2015 წლის 1 იანვრიდან თამბაქოს ნაწარმზე, ასევე, ალაოს ლუდზე, ეთილის სპირტსა და ალკოჰოლურ სასმელზე აქციზის განაკვეთი იზრდება. მომავალი წლის პირველი ივნისიდან კი ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე გადასახადის ე.წ. შერეული სისტემა შემოდის.

თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადი განისაზღვრება როგორც რაოდენობისა და წონის, ასევე საცალო-სარეალიზაციო ფასის მიხედვით. გარდა ამისა, იცვლება აქციზის გადასახადის წესი.

ყველაფერ ამას საგადასახადო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც განსახილველად პარლამენტს უკვე წარედგინა. პროექტის მიხედვით, ცვლილებას განიცდის ალაოს ლუდის, ეთილის სპირტისა და ალკოჰოლური სასმელის აქციზის განაკვეთი, რომლის მოცულობაც არსებულთან შედარებით ორჯერ იზრდება.

რაც შეეხება თამბაქოს ნაწარმს, 2015 წლის 1 იანვრიდან ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის განაკვეთი იზრდება 0.15, ლარის ოდენობით; უფილტრო სიგარეტზე, 20 ღერზე – 0.05 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, 2015 წლის პირველი ივლისიდან აქციზის გადასახადის „შერეული სისტემა“ შემოდის. წარმოდგენილი მექანიზმის მიხედვით, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისათვის აქციზის განაკვეთი იქნება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული აქციზის განაკვეთის და ამ საქონლის საცალო-სარეალიზაციო ფასის 5%-ის ჯამი.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი მღებრიშვილი ამერიკული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სასწავლო ცენტრის მუშაობას გაეცნო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი მერილენდის შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სასწავლო ცენტრს ეწვია და მუშაობის სპეციფიკას, მეთოდოლოგიასა და ძირითად მიმართულებებს გაეცნო. განსაკუთრებული ყურადღება პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის განკუთვნილ პროგრამებზე, მათი დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმებზე გამახვილდა. მასპინძლებმა გიორგი მღებრიშვილს შემუშავებული პროგრამების სისტემა და ცენტრის მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურა გააცნეს, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს სწავლების საჭიროებას.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში დაგეგმილ რეფორმაზე და მის მთავარ კომპონენტზე — თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც მათ სავალდებულო გადამზადებასა და შერჩევის ახალი სისტემის დანერგვას გულისხმობს. მხარეებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული პენიტენციური განათლებისა და გამოცდილების გაზიარების აუცილებლობას გაუსვეს ხაზი.

აშშ-ს საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს მიერ 2-წლიანი პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა შესაბამისი გადამზადებაა.

„ინტერპრესნიუსი“

ფინანსთა სამინისტრომ მასშტაბური დანაშაულებრივი სქემა გამოავლინა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამოძიების შედეგად, გამოვლენილია მასშტაბური დანაშაულებრივი სქემა და გაშიფრულია ათეულობით იურიდიული პირი, რომელთა უკანონო ქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი. ამის შესახებ ინფორმაციას საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

კერძოდ, დადგენილია, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ დაფუძნდა არაერთი შპს, რომელთა სახელით ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილია 22 513 059 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის პროდუქცია.

„ბრალდებულებმა განიზრახეს საბაჟო გადასახადისთვის დაწესებული 5-დღიანი საშეღავათო პერიოდის ბოროტად გამოყენება, პროდუქციის განბაჟების შემდეგ თავი აარიდეს იმპორტის დროს გათვალისწინებულ გადასახადებს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა განსაკუთრებით დიდი ოდენობის — 4 052 351 ლარის ზიანი. ამ ეტაპზე, აღნიშნული დანაშაულის ფაქტზე დაკავებულია ხუთი მოქალაქე.

საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-იდენტიფიცირების მიზნით. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით“, — აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

„ინტერპრესნიუსი“

სამტრედიის ცენტრალური ნაწილი დაიტბორა

რამდენიმესაათიანი გადაუღებელი წვიმის შედეგად, სამტრედიის ცენტრალური ნაწილი დაიტბორა. პრობლემები შეექმნა ცენტრალურ ქუჩაზე მცხოვრებ მოსახლეობასაც, რადგან წყალი სახლებში შეუვარდა.

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, ყოველი გაწვიმების შედეგად მსგავსი პრობლემები იქმნება, რადგან ქალაქში მწყობრიდანაა გამოსული საწრეტი არხები. როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაში აღნიშნავენ, შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან იმ ადამიანებს, რომლებსაც ძლიერი წვიმის გამო პრობლემები შეექმნათ.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს მოქალაქე საბერძნეთში არასრულწლოვნებს 73 წლის მამაკაცთან სექსუალურ კავშირს აიძულებდა

ბერძნული მედიის ცნობით, შემთხვევა თესალონიკთან ახლოს, კატერინში მოხდა. 39 წლის საქართველოს მოქალაქე საბერძნეთში არასრულწლოვნებს ბერძენ 73 წლის მამაკაცთან სექსუალურ კავშირს აიძულებდა და სექსუალური კავშირის სცენებს ფირზე იღებდა. ბერძული საგამოძიებო უწყების ცნობით, 17 წლის გოგონა, რომელსაც 73 წლის მამაკაცთან იძულებით ჰქონდა სექსუალური კავშირი, საავადმყოფოშია და ფსიქოლოგიურ დახმარებას გადის. ბერძენი მამაკაცის სახლში კი აღმოჩენილია ოთახი, სადაც, სავარაუდოდ, არასრულწლოვნების გაუპატიურება და სცენების ფირზე გადაღება ხდებოდა.

მათივე ცნობით, დაკავებული ქართველის საცხოვრებლიდან ამოღებულია ათი DVD დისკი, რომელზეც მსგავსი სცენებია აღბეჭდილი, ასევე ფოტოსურათები, ვიდეოკამერა და ლეპტოპები. მასალები პორნოგრაფიული შინაარსის სცენებს შეიცავს.

„ინტერპრესნიუსი“

გამოძალვის ბრალდებით ორი არასრულწლოვანი დააკავეს

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული კახი კ. და 1997 წელს დაბადებული ლუკა ს. ჯგუფური გამოძალვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ორი თვის განმავლობაში, 1998 წელს დაბადებულ გიგა ნ-ს სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ოჯახის კუთვნილ ოქროს სამკაულებს სძალავდნენ და ლომბარდში აბარებდნენ. შემდეგ ამავე ოქროულობის ვითომდა გამოსყიდვის მიზნით, დაზარალებულს ფულს სთხოვდნენ.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ ლევან იზორიასთან

„ამ ფანტაზიებსა და ექსპერიმენტებში, მიკვირს, როგორ არ გაჩნდა იდეა, ერთი „გასაღები“ ბარემ ჟურნალისტებისთვის გადაგვეცა!“

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

მიმდინარე კვირიდან ყველაზე ხმაური თემა — მოსმენები კვლავ გააქტიურდება. დეპუტატებმა ორი კანონპროექტი უკვე წარმოადგინეს. „ვერსიამ“ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ლევან იზორია ჩაწერა, რომელიც ყველა, მათ შორის, არასამთავრობო სექტორის პროექტზეც ვრცლად საუბრობს. რას ფიქრობს ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში წასვლაზე, აღიძრა თუ არა ვინმეს წინააღმდეგ საქმე 315-ე მუხლით, ვინ დაამონტაჟებს ქუჩებში სათვალთვალო კამერებს, როგორ ეზრდება ძალაუფლება პოლიციას და რა რეალურ საფრთხეებს შეიცავს მოსმენების „გასაღების“ შსს-დან გატანა? — „ვერსიის“ კითხვებს ლევან იზორიამ უპასუხა, საუბარი კი სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ძალადობის პრევენციის ეროვნული გეგმით დავიწყეთ.

რას ფიქრობს პრეზიდენტის შესაძლო ვეტოსა და მოსმენების მთავრობის აღტერნატიულ პროექტებზე შს მინისტრის მოადგილე

— ამ გეგმის განხორციელებას საკანონმდებლო ბაზის ცვლილებაც დასჭირდება. კონკრეტულად, რა იცვლება კანონში და, როგორც მესმის, ძალოვანების უფლებები, რაღაც ნაწილში, იზრდება კიდეც, არა?

— სულ რაღაც 2-3 კვირაში, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ერთ-ერთი ჩვენი ინიციატივა გავა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ, 126-ე მუხლს უკავშირდება. მოქმედი რედაქციით, როცა მსხვერპლმა ფიზიკური ტანჯვა განიცადა, სასჯელი მოძალადის თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს. ეს ცვლილება, სხვათა შორის, 2012 წელს შევიდა და სასჯელის სახით, მხოლოდ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაა გათვალისწინებული. პოლიციას ფაქტზე რეაგირების ბერკეტი არ ჰქონდა — მოძალადეს ვერ აკავებდა. ახლა ეს ნორმა იცვლება და მოძალადეს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. გვაქვს კიდევ ერთი ინიციატივა, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემა, სასამართლოს გარეშე, უშუალოდ პოლიციელს შეეძლოს — ეს იდეა არასამთავრობო სექტორმა და თავად სასამართლომაც მოიწონეს, რადგან ასე ბიუროკრატია სერიოზულად მარტივდება. პოლიციელს მეტი ნდობა უნდა გამოვუცხადოთ და ლეგიტიმაცია მივცეთ, რათა უფრო ადეკვატურად იმოქმედოს.

— შსს-ს ძალადობის პრევენციის ეროვნული გეგმის პრეზენტაციაზე კიდევ ერთი საინტერესო დეტალი არ დაკონკრეტებულა — ითქვა, ქალაქში სათვალთვალო კამერები უნდა დამონტაჟდესო, მაგრამ ეს ვინ და როგორ უნდა გააკეთოს?

— მალე, სამთავრობო დონეზე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნება, სადაც თვითმმართველობა ერთ-ერთი აქტიური რგოლი იქნება. სწორედ თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა მოაწესრიგონ გარეგანათება და დაამონტაჟონ კამერები — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მხოლოდ პოლიციის საქმე აღარ უნდა იყოს და ამაში წვლილი ყველამ უნდა შეიტანოს. ყველა კეთილ საქმეს ერთობლივი მონდომება და თანხა სჭირდება.

— ამ თემაზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან მშვენივრად ითანამშრომლეთ, თუმცა პრემიერმა, ორიოდ დღის წინ, უკანონო მოსმენებზე განაცხადა, არასამთავრობო სექტორს შსს-ს პარალიზება სურსო. ამ შეფასებას იზიარებთ?

— არსებობს საკითხები, რაზეც მთავრობისა და არასამთავრობო სექტორის მოსაზრებები ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდება. ამ შემთხვევაში, მათი კრიტიკის საფუძველი მართლაც გვაქვს. როცა საზოგადოებას რაღაც მოდელს სთავაზობ, მით უმეტეს, მოსმენების თემაზე, მის ეფექტურობაში, მინიმუმ, თავად უნდა იყო დარწმუნებული. ასევე, შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებაც უნდა არსებობდეს, მეტი დამაჯერებლობისთვის. დღეს მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება კანონიერი მოსმენებია და გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. ამ დისკუსიას თვალს ვადევნებ და ერთადერთი არგუმენტი მესმის — შსს-ს „გასაღები“ არ უნდა ჰქონდეს და მორჩა! ეს არასერიოზულია.

— ამ აზრის ლობისტებს ერთი, მაგრამ წონიანი არგუმენტი აქვთ — წინა ხელისუფლების 9-წლიანი გამოცდილება...

— წარსულში კანონი ირღვეოდა და ახლა უნდობლობას მთელ სისტემას ვუცხადებთო, ეს არგუმენტი არ არის. ამ ლოგიკით, შეიძლება, შსს-ც გავაუქმოთ. წარსულში რაც ხდებოდა, მომავალში რომ არ განმეორდეს, ამას მოდერნიზაცია, რეფორმები სჭირდება და არა სისტემაზე უარის თქმა. არასამთავრობოების მიდგომა კი ასეთია — „გასაღები“ შსს-დან გამოვიდეს და სხვაგან, სადაც გინდათ, იქ წავიდესო.

— მათი პროექტით, ერთი „გასაღები“ პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ, მეორე — სასამართლოს. როცა ამბობთ, რომ ეს სერიოზულ საფრთხეს შეიცავს, დააკონკრეტეთ, რაზე საუბრობთ, ამ ლოგიკით, ჩვენი მოსმენის ბერკეტი და პირად საუბრებზე წვდომა კერძო კომპანიებს ხომ ისედაც აქვთ?

— ეს შეთავაზება აბსოლუტური ნონსენსია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მსოფლიოში არსადაა ისეთი სისტემა, სადაც პროვაიდერთან ისეთი სტრუქტურაა მიერთებული, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას არ წარმოადგენს. პირველი „გასაღები“ ყველგან აქვს აღმასრულებელს, მეორე კი ან პროვაიდერს, ან სასამართლოს და ა.შ. ასეთია ექსპერტების მიდგომაც.

— მაგალითად, საბერძნეთში „გასაღები“ კერძო პროვაიდერებს აქვთ, თუმცა ამავე საბერძნეთში, ერთ-ერთი პროვაიდერი კომპანია სწორედ უკანონო მოსმენების გამო მილიარდებით დააჯარიმეს.

— ეს კარგი მაგალითია, რადგან სწორედ საბერძნეთში, ამ პროვაიდერებთან პირდაპირი მიერთება უშიშროების სამსახურებს აქვთ. უბრალოდ, ამ ე.წ. გასაღებს, ზოგ შემთხვევაში, პროვაიდერი ურთავს სამართალდამცავს, ზოგჯერ პირიქით. ვარიანტი, სადაც ერთი „გასაღები“ სასამართლოს აქვს და მეორე პროვაიდერს, მსოფლიოში არ არსებობს. ამიტომ ვერ მისახელებენ არასამთავრობოები ერთ კონკრეტულ მაგალითს, რომელ ქვეყანაშია მსგავსი პრაქტიკა. გარდა ამისა, პროვაიდერისთვის „გასაღების“ გადაცემა ინფორმაციის გაჟონვის მეტ საფრთხეს ქმნის; მეტიც, ამ „გასაღებით“ პროვაიდერს ტექნიკურ საშუალებებთან აქვს წვდომა, რაც მეტი მანიპულირების შესაძლებლობას აძლევს. ზუსტად ეს მოხდა საბერძნეთშიც. მსგავსი საფრთხეები ოკუპაციის პირობებში უფრო იზრდება. სრული დაბეჯითებით ვამბობ, ეს მხოლოდ ეროვნულ და რეგიონულ ინტერესებსა და უსაფრთხოებას კი არა, ევროატლანტიკური უსაფრთხოების საკითხებსაც ეხება.

— ამ პროექტისგან განსხვავებით, ვახტანგ ხმალაძის საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტში დარეგისტრირდა და, როგორც ამბობენ, არცთუ ცოტა მომხრე ჰყავს. ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისთვის „გასაღების“ გადაცემის იდეას როგორ აფასებთ?

— დირექტივებს არავის ვაძლევთ, უბრალოდ, არგუმენტებს ვამბობთ და უმრავლესობა თავად წყვეტს. ნამდვილად არ ღირს ექსპერიმენტების ჩატარება. ეს იდეები, მათ შორის, ვახტანგ ხმალაძისაც, ასეთია — რადგან პოლიციელს არ ვენდობით, მოდი, წავართვათ იარაღი და მასწავლებელს მივცეთო. ამ ფანტაზიებსა და ექსპერიმენტებში, მიკვირს, როგორ არ გაჩნდა იდეა, ერთი „გასაღები“ ბარემ ჟურნალისტებისთვის გადაგვეცა. არც მარეგულირებელი კომისიაა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი — იგი ლიცენზიებისგამცემი, მაკონტროლებელი ორგანოა. ასევე, „გასაღები“ პრინციპულად არ უნდა იყოს სასამართლოში — როგორ შეიძლება, მაკონტროლებელმა ორგანომ აღმასრულებლის ფუნქციები შეითავსოს?! სასამართლო ამ მოსმენებში ხომ ისედაც ჩართულია, როგორც ნებართვისგამცემი.

— ე.წ. ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის ვერსია მთავრობის იდეად უნდა განვიხილოთ. ამიტომ ამიხსენით, რა უფლებები და მოვალეობები ექნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს?

— პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის შემოყვანის იდეა მუშაჯგუფში გაჩნდა, რომელშიც მთავრობაც აქტიურად მონაწილეობდა. შემდეგ ამ იდეით უმრავლესობის სამი დეპუტატი გამოვიდა, პროექტი კი იმას გულისხმობს, რომ „გასაღების“ ამ ორი მფლობელის მიერ, „გასაღების“ ერთდროულად ჩართვის შედეგად, კონკრეტული პირების მოსმენაა შესაძლებელი.

— რა გარანტიაა, რომ შსს ინსპექტორის ინსტიტუტს არ მართავს?

— ტექნიკურად, მისი მართვა შეუძლებელია. მექანიზმს აგიხსნით — პირის მოსმენის შესახებ მოსამართლის ბრძანება მიდის როგორც შსს-ში, ისე ინსპექტორთან. ამ უკანასკნელს იმიტომ ეგზავნება, რომ იცოდეს, შსს ვის მოსმენას აპირებს. შემდეგ, ეს ინფორმაცია მიდის პროვაიდერთან, რომელიც ამ პირს მოსმენაზე მიაერთებს. პროვაიდერი პირს მაინც ყველა ვარიანტში უსმენს — კერძო კომპანიაა და ამის უფლება აქვს. საჯაროდ ვამბობ, მოსმენების შესაძლებლობა დღეს კერძო კომპანიებსაც აქვთ. ინსპექტორი კი ანგარიშვალდებულია პარლამენტთან — ის მთელ ინსტიტუტს წარმოადგენს და არა ერთ ადამიანს, შს უწყებას რომ დაექვემდებაროს.

— თუ ინსპექტორი შსს-ს დარღვევის შესახებ გაიგებს, ამ შემთხვევაში, როგორ იქცევა, რა ბერკეტები აქვს?

— ეს თავიდანვე გამორიცხულია — შსს მოსმენას ვერ შეძლებს ინსპექტორის გარეშე — ორი გასაღების პრინციპი სწორედ ესაა.

— სხვათა შორის, ამბობენ, ამ კანონპროექტს პრეზიდენტი ისევ ვეტოს დაადებსო. ასეთ შემთხვევაში, დათმობთ და პროექტში რამეს შეცვლით?

— რამის შეცვლას მხარს არავითარ შემთხვევაში არ დავუჭერ. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი კანონპროექტს ვეტოს არ დაადებს, რადგან არგუმენტები ახლა ჩვენს სასარგებლოდაა. პრეზიდენტმა ამ კანონს ვეტო, წინა ჯერზე, მხოლოდ ვადის გაწელვის გამო დაადო.

— ბატონო ლევან, პოპულარულ 315-ე მუხლზეც გკითხავთ, რომელიც რევოლუციური გზით ხელისუფლების დამხობას ეხება. საქმე ვის წინააღმდეგ აღიძრა და გამოძიება ისევ მიმდინარეობს?

— ძალიან კარგია, ეს რომ მკითხეთ. ჩემი განცხადების მერე ამ თემაზე აღარ მისაუბრია. 315-ე მუხლით გამოძიება დაწყებულია, თუმცა ეს მუხლი იურიდიული პირის ანუ მთელი პარტიის წინააღმდეგ საქმის აღძვრას არ ითვალისწინებს. ეს ცრუ ინფორმაცია ნაციონალებმა მედიას, საზოგადოებასა და სხვათა შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ამ ფორმით მიაწოდეს. გამოძიება კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე იწყება და არაა აუცილებელი, კონკრეტული ადრესატები ჰყავდეს. სხვათა შორის, გამოძიება ახლაც მიმდინარეობს. რომ იცოდეთ, მოქალაქეებმა წერილობით მეც მომმართეს, მნიშვნელოვანი ინფორმაციები გვაქვსო და ისინი საგამოძიებო ორგანოებთან გადავამისამართე. ყველაფერი დანარჩენი კი გამოძიების დეტალებია და ამაზე ვეღარ ვისაუბრებ.

— მაშინ ირაკლი ალასანიაზე ვისაუბროთ — მის ოპოზიციაში გადასვლას და, საერთოდ, მის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ?

— ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ პროდასავლურ კურსს საფრთხე ემუქრება. პარალელურად, ყველამ ვნახეთ პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ბრიუსელში და სერიოზული წარმატებები, სწორედ ნატო-სთან ინტეგრაციის გზაზე. ყველას თავის შეფასება აქვს, თუმცა ირაკლი ალასანიას ამ შეფასებას არც მაშინ ვეთანხმებოდი და დღეს უფრო მეტად არ ვეთანხმები.

ვერსიანიუსი

შსს-მ ბორჯომის რაიონში უკანონოდ მოქმედი საწარმოები დალუქა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში უკანონოდ მოქმედი სამი საწარმო გამოავლინეს და დალუქეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულ საწარმოებში ფალსიფიცირებულ მინერალურ წყალს – „ბორჯომსა“ და „ლიკანს“ აწარმოებდნენ.

სამართალდამცველებმა საწარმოებიდან სარეალიზაციოდ გამზადებული 4650 ბოთლი ფალსიფიცირებული მინერალური წყალი, ასევე 1423 ბოთლის საცობი, 550 ბორჯომის ეტიკეტიანი ცელოფანი, 3 ცალი 200-ლიტრიანი პლასტმასის ავზი მინერალური წყლით, მინერალური წყლის ჩამოსასხმელი 4 დანადგარი, ჟანგბადის 1 ბალონი, გაზიანი წყლის დასამზადებელი სპეციალური აპარატი, 3 დამხმარე ხელსაწყო და პოლიეთილენის შესაფუთი კუსტარული დანადგარი ამოიღეს.

გამოძიება ფალსიფიკაციისა და ფალსიფიცირებული ნივთის უკანონო გადაზიდვა-გასაღების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 197-ე პრიმა და 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

რა თანხას მიიღებენ გუბერნატორები 2015 წლის ბიუჯეტიდან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 8 090 000 000 ლარით განისაზღვრა. „ვერსია“ უკვე წერდა, რომ მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი, თავდაპირველთან შედარებით, 160 000 000 ლარით გაიზარდა. საინტერესოა, რა თანხაა გამოყოფილი პრეზიდენტის რწმუნებულების — გუბერნატორების ადმინისტრაციებისთვის, როგორ და რა პრინციპით შეადგინეს ბიუჯეტი თვითმმართველ ერთეულებში...

თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტს საკრებულოები დეკემბრის ბოლოს დაამტკიცებენ

მშრალი ინფორმაცია

სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაციისთვის აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 900 000 ლარია გამოყოფილი. საერთოდ, ბიუჯეტის პროექტში ამ ტიპის ჩამონათვალი 1996 წლიდან ჩნდება, რაც ნიშნავს, რომ საქართველო სამეგრელოდ, გურიად, იმერეთად და ასე შემდეგ, დაყოფილი არ არის. უფრო კონკრეტულად კი, სამეგრელოს გუბერნატორი აღარ არსებობს და ოფიციალურად, ამ ჩამონათვალში ნახსენები რაიონების სახელმწიფო რწმუნებულია.

სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაციისთვის ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში, 2015 წლის ბიუჯეტში 700 000 ლარია გამოყოფილი.

სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაციისთვის ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლას, სამტრედიის, საჩხერეს, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში, 2015 წლის ბიუჯეტში 800 000 ლარია გათვალისწინებული.

სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაციისთვის ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 800 000 ლარი გამოყვეს.

სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები, მომავალი წლის ბიუჯეტიდან 650 000 ლარით დაფინანსდება.

სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, გაისად 650 000 ლარით ფინანსდება.

სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 1 000 000 ლარით დაფინანსდება. ქვემო ქართლი ერთადერთი მხარეა, რომელიც მომავალ წელს მილიონ ლარს მიიღებს.

სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში გაისად 700 000 ლარით დაფინანსდება.

რა პრინციპით შედგა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი

პრეზიდენტის რწმუნებულების ადმინისტრაციების დაფინანსების პარალელურად, საინტერესოა, რა ვითარებაა ახლადარჩეულ თვითმმართველობებში? როგორც წესი, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებს შესაბამისი საკრებულოები ამტკიცებენ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, თენგიზ შერგელაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა და საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში, ადგილობრივი ბიუჯეტები უკვე შეადგინეს.

„ვერსია“ ადრეც წერდა, რომ ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, გორის, ახალციხის, მცხეთის, ამბროლაურის, თელავის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად, შეიქმნა მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორი თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი. საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, ახლადარჩეულ თვითმმართველობებში ბიუჯეტები 2014 წლის 20 ივნისამდე უნდა წარედგინათ დასამტკიცებლად. მართალია, მთავრობის ეს დადგენილება მხოლოდ 2014 წლის ადგილობრივ ბიუჯეტს ეხებოდა, მაგრამ რეგიონებში 2015 წლის ბიუჯეტებიც სწორედ ამ პრინციპით შედგა.

ზემოხსენებული კოდექსის 152-ე მუხლის მეორე პუნქტი ახალ მუნიციპალიტეტებს შორის გადასახდელების გადანაწილებას გულისხმობს და ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის/მერიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები შემდეგი პრინციპით გადანაწილდება: ა) ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის/მერიის შრომის ანაზღაურებისთვის საჭირო თანხის განსაზღვრისას, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის/მერიის შტატით გათვალისწინებული თანამშრომლების შრომის საშუალო ანაზღაურება უნდა გამრავლდეს ახალი მუნიციპალიტეტის ზღვრულ საშტატო რაოდენობაზე. მიღებული თანხა ახალი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის/მერიის შრომის ანაზღაურების ერთი თვის ფონდი იქნება და თითოეული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არაუმეტეს ექვსი თვის შრომის ანაზღაურება უნდა იყოს გათვალისწინებული; ბ) იმ შემთხვევაში, თუ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ, საკრებულოსა და გამგეობის/მერიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებაა აღებული, შესაბამისი თანხა გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ახალი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელსაც „ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის“ შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულება გადაეცემა; გ) შრომის ანაზღაურების გარდა, საკრებულოსა და გამგეობის/მერიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ხარჯების განსაზღვრისას, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, საკრებულოსა და გამგეობის/მერიისთვის გათვალისწინებულ თანხას, მუნიციპალიტეტის გაუქმების დღის მდგომარეობით გაწეული საკასო ხარჯი, ასევე, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული თანხა აკლდება და დარჩენილი თანხა ახალ მუნიციპალიტეტებს შორის, ზღვრული საშტატო რაოდენობის პროპორციის გათვალისწინებით იყოფა. კოდექსით, ახალ მუნიციპალიტეტებს შორის შემოსულობების გადანაწილება ხორციელდება იმავე პროპორციით, რომლითაც საკუთარი შემოსულობების ფარგლებში დაგეგმილი გადასახდელები გადანაწილდება.

რაც შეეხება გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების გამიჯვნას, ახალ მუნიციპალიტეტებში ქონების გადასახადი იმიჯნება ფაქტობრივი მდებარეობის მიხედვით და მის გამიჯვნას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს; ახალ მუნიციპალიტეტებში სხვა გადასახადები იმიჯნება თანაბრად; რენტიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად უნდა აისახოს ახალი მუნიციპალიტეტის თვითმმართველი თემის შემოსავლებში; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად აისახება ახალი მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ქალაქის შემოსავლებში; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები იმიჯნება თანაბრად; ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებული შემოსავლები იმიჯნება თანაბრად; გრანტების გარდა, ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გათანაბრებითი ტრანსფერების გაანგარიშების დროს არ გათვალისწინდება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, თენგიზ შერგელაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მხოლოდ ის თანხაა გაწერილი, რაც პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურებისთვისაა საჭირო. თანამშრომელთა რაოდენობა 20-30-ზე მეტი არ არის.

რაც შეეხება საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, თენგიზ შერგელაშვილის განმარტებით, ისინი უკვე შესაბამის საკრებულოებშია წარდგენილი. მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტებიც დეკემბრის ბოლოს დამტკიცდება, როდესაც პარლამენტში, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საბოლოოდ კენჭს უყრიან.

რატომ ითხოვს ემზარ კვიციანი ირმა ინაშვილთან შეხვედრას

რუსუდან შელია
557-100-768

მას შემდეგ, რაც სასამართლომ 12 წელი მიუსაჯა, კოდორის ყოფილმა გუბერნატორმა, ემზარ კვიციანმა, რომელსაც 2006 წლამდე „ვარდების ხელისუფლებასთან“ პრობლემები არ ჰქონია და რომელიც „ოცნების“ პოლიტპატიმართა სიიდან ამოიღეს, შეხვედრა პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთ ლიდერ ირმა ინაშვილთან მოითხოვა. რატომ? — ამ კითხვით „ვერსიამ“ ირმა ინაშვილს მიმართა.

— რამდენიმე დღის წინ, ემზარმა თავის სულიერი მოძღვარს, მამა გიორგის დააბარა, ირმა ინაშვილთან, როგორც ჟურნალისტთან შეხვედრა მინდაო. ბუნებრივია, შეხვედრის სურვილი მეც მაქვს, ამიტომ სასჯელაღსრულების სამინისტროს მივმართე, ემზარ კვიციანთან ინტერვიუს ჩაწერის შესაძლებლობა მოეცა.

— ჟურნალისტი აღარ ხართ — საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივნის პოსტს იკავებთ და ინტერვიუ როგორ უნდა ჩაწეროთ?

— ვიმეორებ, ემზარ კვიციანმა ჩემთან, როგორც ჟურნალისტთან ითხოვა შეხვედრა და არა როგორც პოლიტიკოსთან, მაგრამ სასჯელაღსურლების სამინისტროში მიპასუხეს, ვიდრე სასამართლოს შესაბამისი განჩინება არ მოვა, კვიციანს ვერ შეხვდებიო. მოგეხსენებათ, ის სასჯელაღსრულების სისტემაში მსჯავრდებული პატიმრის სტატუსით არ ირიცხება. ამიტომ სასამართლოს განჩინებას ველოდები — ემზარ კვიციანთან ინტერვიუს აუცილებლად ჩავწერ.

— იცით, რაზე სურს საუბარი?

— არა, კონკრეტულ თემაზე ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

— ირმა, მაინცდამაინც არ მჯერა, რომ კვიციანი თქვენთან შეხვედრას ინტერვიუსთვის ითხოვს, მით უმეტეს, ერთმანეთს, როგორც ვიცი, დიდი ხანია, იცნობთ და მის მხარდამჭერ აქციებშიც მონაწილეობთ...

— ემზარს 90-იანი წლებიდან ვიცნობ, თუმცა დიდი ხანია, არ შევხვედრივარ. უამრავი მოქალაქის მსგავსად, მეც ვფიქრობდი, რომ სასამართლო გაამართლებდა, რადგან დანაშაული არ ჩაუდენია! სამწუხაროდ, სასამართლომ უკანონო განაჩენი გამოიტანა, რაც დიახ, ღიად გავაპროტესტე! შესაძლოა, ემზარს ამ თემაზეც სურს საუბარი, მაგრამ, ვიდრე არ შევხვდები, მარჩიელობას ვერ დავიწყებ. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: ეს არ იქნება პირადი შეხვედრა ან საუბარი ემოციების გასაზიარებლად, მას ბევრი რამ აქვს სათქმელი!

— თუ ინტერვიუს ჩაწერთ, იმედია, ჰკითხავთ, ედუარდ შევარდნაძის კადრმა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თანამდებობის შენარჩუნება როგორ მოახერხა...

— ემზარ კვიციანი მთელი ცხოვრება კოდორის ხეობასა და კოდორელებს „მონადირესთან“ ერთად იცავდა! როცა მიხეილ სააკაშვილმა ჩათვალა, რომ მის ინტერესში ხეობის დაცვა აღარ შედიოდა, ემზარ კვიციანს რწმუნებულის სტატუსი მოუხსნა. მას კი არა, სააკაშვილს უნდა ვკითხოთ, რატომ დაუპირისპირდა კვიციანს 2006 წელს და არა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ?

— ესე იგი, არ გამორიცხავთ, 2006 წლამდე კვიციანი და სააკაშვილი, შეიძლება, გარიგებულები იყვნენ?

— შესაძლოა, თავდაპირველად, მიხეილ სააკაშვილი ემზარ კვიციანს ყურადღებას არ აქცევდა და ბერკეტები მაშინ აამოქმედა, როცა საჭიროდ ჩათვალა. ძნელია, სააკაშვილის ნაცვლად ისაუბრო. ემზარ კვიციანი კი ხეობას 15 წლის განმავლობაში კბილებით იცავდა, ეს იყო მისი მთავარი ინტერესი. დღეს იმაზე კი არ უნდა ვისაუბროთ, რატომ დარჩა 2003 წლის შემდეგ ემზარ კვიციანი თანამდებობაზე, ის უფრო საინტერესოა, 2008 წელს რატომ დატოვა ჯარმა ჩვენი მიწა, მოსახლეობა და რატომ გამოიქცა კოდორის ხეობიდან! კოდორის ხეობა აფხაზეთის ტერიტორიის 4%-ია, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ერთგვარი პლაცდარმი იყო!

დასასრული მე-5 გვერდზე

რა წერია ძალადობის პრევენციის ეროვნულ სტრატეგიაში — მთავრობის ახალი ინიციატივა

ნინო კობახიძე
599-95-33-16

21 ნოემბერს, მთავრობამ ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია გამართა. სტრატეგია შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ წარმოადგინა. ნახევარსაათიანი პრეზენტაციის შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა კითხვები დასვეს და განხილვა დებატების რეჟიმში გადავიდა. ღონისძიებას შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მართალია, ზემოხსენებული დოკუმენტი ჯერ მხოლოდ ეროვნული გეგმის სამუშაო ვერსიაა, მაგრამ, როგორც მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, ნინო კობახიძემ განაცხადა, დაახლოებით ორკვირიანი მუშაობის შემდეგ, გეგმა სტრატეგიად იქცევა, რომელიც მხოლოდ ძალადობის ერთი კონკრეტული ტიპის წინააღმდეგ კი არ იქნება მიმართული, თანაბრად მოიცავს ძალადობის ყველა ტიპს. დოკუმენტში სამი ძირითადი სამუშაო მიმართულებაა გამოყოფილი — ძალადობა ოჯახში; სკოლაში; უბანსა და ქუჩაში. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, ამ გლობალური პრობლემის მოგვარება მხოლოდ პოლიციური რესურსითა და კრიმინალთან ბრძოლით არასაკმარისია. საჭიროა, ძალადობის წარმომშობი ფაქტორებისა და პირობების ანალიზი, ძალადობის პრევენციისა და მართვის არსებული მექანიზმების შეფასება, მათი ეფექტურობის გაზრდა და ახალი მექანიზმების დანერგვა. ამ თემაზე მუშაობა რამდენიმე თვეა მიმდინარეობს და სტრატეგიის დოკუმენტის იმპლემენტაციის შემდეგ, სამოქმედო გეგმა დაერქმევა, კონკრეტულად გაიწერება მთავრობისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მოვალეობები, ბიუჯეტი და ამ საკითხების კოორდინირებაზე პრემიერ-მინისტრთან არსებული სამდივნო იზრუნებს.

ლევან იზორიამ პრობლემაზე საუბარი გასული 20 წლის ანალიზით დაიწყო და განაცხადა, რომ ჯერ ჩვენი ქვეყნის პრობლემა ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების არსებობა იყო, შემდეგ წინა ხელისუფლების ცნობილი მიდგომა, ნულოვანი ტოლერანტობა და ჯამში, პოლიციურ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდით. სამომავლო მიზნებად კი შემდეგი განისაზღვრა: ძალადობის ფაქტების შემცირება; ძალადობასთან ბრძოლის გაძლიერება; დემოკრატიული ინსტიტუტების, სამოქალაქო სექტორისა და ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება. დასახელდა ძალადობის გამომწვევი მიზეზებიც: სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი და ტოტალური უმუშევრობა; არასაკმარისი სამოქალაქო განათლება და სამოქალაქო სექტორის პასიურობა; ისეთი მავნე ჩვევები, როგორიცაა ალკოჰოლი, ნარკოტიკი, აზარტული თამაშები და ე.წ. ინტერნეტმიჯაჭვულობა. პრევენციის ძირითად მექანიზმებად შს მინისტრის მოადგილემ სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება, მედიაცია და რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია დაასახელა.

პრეზენტაციაზე რამდენიმე მნიშვნელოვან და საინტერესო სიახლეზეც ისაუბრეს. მთავრობამ პარლამენტს ინიციატივით უკვე მიმართა და შესთავაზა ბერკეტი, რომლის მიხედვითაც, ძალადობის ფაქტის შემსწრე პოლიციელებს რეალური ბერკეტის მინიჭება შესთავაზა. ასეთია პოლიციის მიერ შემაკავებელი ორდერის გამოწერა, რასაც აქამდე სასამართლო აკეთებდა და რთული ბიუროკრატიული, დროში გაწელილი პროცესი იყო.

ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, 600-მდე უბნის პატრულ-ინსპექტორი გადამზადდა. სამომავლოდ კი, ექიმების, პედაგოგების, მანდატურებისა და სოციალური მუშაკების გადამზადებაც იგეგმება. რაც შეეხება პოლიციელთან გადამზადებას, იზორიას თქმით, ეს მუდმივი პროცესია და გარდა იმ ლექციებისა თუ ტრენინგებისა, რაც სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებს ჩაუტარდება, რისკების შეფასების მეთოდოლოგიაზე მიდის მუშაობა. ეს მეთოდოლოგია-კითხვარი პოლიციელს უკეთ განსაზღვრაში დაეხმარება, რეალურად, მოხდა თუ არა ძალადობა სხვადასხვა შემთხვევაში, ხოლო ანალიზის საფუძველზე უფრო ადვილად გამოავლენს ე.წ. რისკკერებს ან ოჯახებს, სადაც მომავალში ძალადობის ალბათობა მაღალია.

როგორც ლევან იზორიამ განაცხადა, **სკოლებში** შევა სპეციალური პროგრამები, რომელთა დახმარებითაც, მოსწავლეები კანონმორჩილ მოქალაქეებად ჩამოყალიბდებიან; ჩატარდება სამოქალაქო განათლების კურსები, დაიწყება ცხოვრების ჯანსაღი წესის რეალური პროპაგანდა, გააქტიურდება და დაინერგება მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის კულტურა, გადამზადდებიან მასწავლებლები, მანდატურები და სკოლაში მიმდინარე პროცესებში მშობლებიც უფრო აქტიურად ჩაერთვებიან.

ასევე, **ქუჩებსა და უბანში** ძალადობის პრევენციისთვის რამდენიმე ფაქტორი დასახელდა: უბნის ინსპექტორის როლის გაძლიერება, რისკჯგუფების განსაზღვრა (მაგ: დაუსაქმებელი ახალგაზრდები), სოციალური მუშაკები და მათ მიერ შემუშავებული სპეციალური სტრატეგია. ამ კუთხით, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდას გაესვა ხაზი. ადგილობრივ თვითმმართველობას, განსაკუთრებით რეგიონებში, გარეგანათების მოწესრიგება და დამატებითი სათვალთვალო კამერების დამონტაჟება დაევალება ქუჩებსა და უბნებში. სტრატეგიის შესრულებაში წამყვან სახელმწიფო სტრუქტურებად შინაგან საქმეთა, ჯანდაცვის, განათლების, იუსტიციისა და სპორტის სამინისტროები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობა დასახელდა.

ნახევარსაათიანი პრეზენტაციის შემდეგ, მთავრობის წარმომადგენლებმა არასამთავრობო სექტორის შენიშვნები და რეკომენდაციები მოისმინეს: სექსუალური უმცირესობების მიმართ მომძლავრებული ძალადობის პრევენციისა და სავარაუდო ბიუჯეტის არარსებობა, საჯარო სამსახურებში არსებული ძალადობის აღიარება და აღკვეთა და ა.შ. რამდენიმე სპეციალისტმა კი განაცხადა, რომ სახელმწიფო სტრატეგია ასე ზოგადად და აბსტრაქტულად არ იგეგმება, მეტი ციფრი და სტატისტიკური მონაცემია საჭირო. დასასრულს, ნინო კობახიძემ აღნიშნა, რომ ამ სტრატეგიის სამუშაო ვერსია ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას გადაეგზავნება და მათ საკუთარი შენიშვნების უკეთ და უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბებისთვის 2 კვირა ექნებათ. პრეზენტაციის შემდეგ, მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილემ, **ნინო კობახიძემ** „ვერსიის“ რამდენიმე კითხვას უპასუხა:

— ეს შეხვედრა სარეკომენდაციო ხასიათის იყო. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში კი, სწორედ არასამთავრობო სექტორთან ერთად, სამუშაო ჯგუფის შექმნას ვაპირებთ და მათ ყველა შენიშვნას გავითვალისწინებთ. დოკუმენტი სრულყოფილ სახეს მიიღებს და სწორედ ამის შემდეგ გადავა განსახილველად პრემიერის თავმჯდომარეობით შექმნილ ძალადობის პრევენციის საბჭოსთან, სადაც დოკუმენტის იმპლემენტაციის ვადები გაიწერება.

— ორი დღის წინ, შსს-მ სტატისტიკა წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, კრიმინალი 17%-ითაა შემცირებული. თუ კრიმინალი შემცირებულია, ძალადობის პრევენციის სტრატეგია რაღა საჭიროა?

— კრიმინალის სტატისტიკა და ძალადობის პრევენციის სტრატეგია ერთმანეთთან კავშირში არაა. ერთიანი სტრატეგია კონკრეტულად ოჯახში ან ქალთა წინააღმდეგ ძალადობას არ ეხება, ეს გლობალური პროექტია და ჩვენ, მთავრობას, გვაქვს ამბიცია, მომავალში კრიმინალი არათუ კიდევ შემცირდეს, არამედ მინიმუმამდე დავიდეს.

— საკანონმდებლო ბაზა იცვლება, პოლიციელს მეტი უფლება ენიჭება. თქვენი აზრით, ამას სამოქალაქო სექტორი როგორ შეხვდება?

— სამწუხაროდ, ბოლო დროს ძალიან გახშირდა ფაქტები, როცა მოძალადეები გაფრთხილებას იღებენ და შემაკავებელი ორდერი არ არსებობს. კანონში ცვლილების შემდეგ კი ეჭვმიტანილი, გაფრთხილების ნაცვლად, შემაკავებელ ორდერს პირდაპირ პოლიციელისგან მიიღებს. სწორედ ამიტომ გამოვიტანეთ ეროვნული სტრატეგია განსახილველად, საზოგადოება ყველა ცვლილების კურსში იყოს და ამ თემაზე საკუთარი აზრი დააფიქსიროს. რეალურად, ამ საქმეში მხოლოდ ერთი სტრუქტურა არ უნდა იყოს ჩართული. მხოლოდ შს სამინისტრო არაა პასუხისმგებელი ძალადობის პრევენციაზე. სტრატეგიის მიხედვით, აქცენტი კეთდება სოციალური მუშაკებისა და უბნის ინსპექტორების როლის გაზრდაზე, რომლებიც ასევე, რისკების მართვისა და შეფასების სისტემითაც იქნებიან აღჭურვილები.

— სტრატეგიის პრეზენტაციაზე ბიუჯეტთან დაკავშირებით ვერაფერი მოვისმინე. ბიუჯეტის მონახაზიც არ არსებობს?

— არა — ბიუჯეტი ერთიანი სამოქმედო გეგმის გაწერის შემდეგ განისაზღვრება.

რატომ ითხოვს ემზარ კვიციანი ირმა ინაშვილთან შეხვედრას

მე-4 გვერდიდან

ეს მიწა კი ხელისუფლებამ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მტერს ჩააბარა. ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაციაც კი არ უცდია, ტყვია-წამალი კოდორში დატოვა, ხიდებიც კი არ ააფეთქა, რაც ხეობაში მტრის შესვლას შეაჩერებდა. სხვათა შორის, ეს ხიდები ემზარ კვიციანმა დიდი ხნით ადრე ააფეთქა, მაგრამ ნაციონალურმა მოძრაობამ აღადგინა, რათა მტერი ადვილად შესულიყო.

— ირმა, ზოგს ისიც ვერ გაუგია, თუ ემზარ კვიციანი კოდორს 15 წლის განმავლობაში რუსეთისგან იცავდა, რატომ გაიქცა ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი რუსეთში?

— ემზარ კვიციანი რუსებს მკვეთრად უპირისპირდებოდა და რუსებისთვისაც საკმაოდ ძლიერ საფრთხეს წარმოადგენდა.

— მინიმუმ, ალოგიკურია, თავი მოსისხლე მტერს შეაფარო...

— არსებობს ინფორმაცია, რომ ემზარ კვიციანი გატაცებულიც იყო.

— ვინ და სად გაიტაცა?

— ამაზე ვერ ვილაპარაკებ... გამოძიების მასალებში კარგად ჩანს, რომ რუსებს ემზარ კვიციანის კოდორში ყოფნა არ აწყობდათ, ამიტომ საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილი, გივი თარგამაძე, გიორგი არველაძე, გიგა ბოკერია და მიხეილ სააკაშვილი უნდა დაიკითხონ. ამ ადამიანებმა უნდა უპასუხონ კითხვას — რატომ ჩააბარეს ქართული მიწა მტერს უბრძოლველად? ნაციონალურმა მოძრაობამ ემზარ კვიციანის წინააღმდეგ შავი პიარი სრული დატვირთვით აამუშავა — თითქოს კვიციანს კოდორში კრიმინალური დაჯგუფება ჰყავდა და შავ-ბნელ საქმეებს აკეთებდა. ეს პროპაგანდა კვიციანის მარტივად განიარაღებისთვის ჭირდებოდა.

— კადრები და ჩანაწერები არსებობს, რომელიც ადასტურებს, რომ „მონადირე“ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ შეთქმულებას გეგმავდა, არა?

— ემზარ კვიციანი კოდორში რომ ყოფილიყო, კოდორს არ დავკარგავდით!

— რას აპირებთ, ემზარ კვიციანის მხარდამჭერ აქციებს სათავეში ჩაუდგებით?

— ემზარ კვიციანის ოჯახის წევრებისა და მისი ახლობლების მიერ ორგანიზებულ აქციებს მხარს ვუჭერ, საზოგადოებას კი გამოფხიზლებისკენ მოვუწოდებ! ემზარ კვიციანის მხარდასაჭერად ბევრი ადამიანი გამოვიდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის! როცა უდანაშაულო ადამიანს, არჩადენილი დანაშაულისთვის, 12 წლით აპატიმრებენ, 10 ათასი ადამიანი მამაკაცების გამაუპატიურებელთა მიტინგზე კი არა, სწორედ ემზარ კვიციანთან უნდა იდგეს.

— ირმა, ფიქრობთ, ემზარ კვიციანი „ქართული ოცნების“ პირველი პოლიტპატიმარია?

— არა. იმედს ვიტოვებ, სააპელაციო სასამართლო კვიციანს გაამართლებს და სიმართლე იზეიმებს!

— სოსო მანჯავიძეზეც გკითხავთ: იქნებ, ახლა მაინც გაამხილოთ, მეგობრები ერთმანეთს რატომ დაუპირისპირდით?

— სოსო მანჯავიძე არ მაინტერესებს და მასზე საუბარიც არ მინდა. ღმერთმა დალოცოს იმ გზაზე, რომელსაც დაადგა.

— რა გზას დაადგა?

— პოლიტიკური პარტნიორები იშლებიან, ზოგჯერ მტრობენ ერთმანეთს, ათასი გაუგებრობა ხდება... ზოგჯერ ისე მწვავდება ურთიერთობა, მისი აღდგენა შეუძლებელია! ჩემსა და სოსო მანჯავიძის შემთხვევაში ასე მოხდა და ჩვენი ურთიერთობა არასოდეს აღდგება! ისე, თუ გაინტერესებთ, გაცილებით ღრმა მიზეზი არსებობს, ვიდრე ითქვა და ეს მხოლოდ პოლიტიკურ ინტერესებში განსხვავებას არ ეხება.

— პირად ინტერესებში გადაიკვეთეთ?

— დიახ, მისგან სწორედ პირადი წყენა და ტკივილი მივიღე.

— სოსო მანჯავიძე, თქვენი მხარდაჭერით, ჯერ წინააღმდეგობის მოძრაობისა და შემდეგ პატრიოტთა ალიანსის გამოკვეთილი ლიდერი იყო. მას მეგობარსაც უწოდებდით... იქნებ, ემზარ კვიციანშიც ცდებით?

— ამ ორ ადამიანს ერთმანეთს ვერ შევადარებ!.. სოსო მანჯავიძე საკრებულოში პარტიული სიით გავიდა და ახლა დამოუკიდებელი წევრია. გავიდა პარტიიდან? — გავიდა, ღმერთმა დალოცოს! კარგად იყოს სოსო მანჯავიძე, არ მინდა არაფრის ქექვა! ის ჩემსა და პატრიოტთა ალიანსთან აღარ ასოცირდება, ეს ყველამ კარგად იცის.

„მე მეოცნებე ნაციონალი ანუ ეროვნული ვარ!“

ზაზა მარჯანიშვილის პოლიტიკური თეზისები და მზადება მუსიკალურ პროექტ „სამოსელი პირველისთვის“

ივანო პავლიაშვილი

რამდენიმე წლის წინ, ჩემმა მეგობარმა, მარინა სალუქვაძემ მითხრა, მაგარი მუსიკა უნდა მოგასმენინოო. მართალია, დიდი მუსიკალური განათლებით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ზაზა მარჯანიშვილის მუსიკამ მომნუსხა... მახსოვს, მარინა ზაზაზე ბევრს მელაპარაკა... მერე, დრო რომ გავიდა, მარინა და ზაზა შეუღლდნენ... ჯაზმენი წარმატებულ ამერიკულ, უფრო კონკრეტულად, ჰოლივუდურ კარიერას შეელია და... წყვილმა თბილისში, ლაღიძის ქუჩაზე მუსიკალური სალონი გახსნა, რომელსაც „ზაზანოვა“ დაარქვა... ეს-ესაა შებინდდა... „ზაზანოვაში“ სიხალვათეა — აქ ხალხი გემოვნებიანი მუსიკის მოსასმენად საღამოს იკრიბება, 9 საათის მერე... „ზაზანოვაში“ ერთი ადგილი მაქვს ამოჩემებული — სცენის წინ, პატარა მაგიდა... მარინა და ზაზა იგვიანებენ... ამოჩემებულ მაგიდასთან ვზივარ და „ამერიკანოს“ შევექცევი, თან იქაურობას ვათვალიერებ... აი, მასპინძლებიც მოვიდნენ. ერთმანეთი მივიკითხ-მოვიკითხეთ, სიტყვა ბიზნესზე ჩამოვაგდე და ზაზა მარჯანიშვილს ვკითხე:

— ზაზა, იმ ქვეყანაში, სადაც დიდ მიღწევად პენსიის ათი ლარით გაზრდა ან, სულაც, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პანდუსების გაკეთება ითვლება, მუსიკალური სალონი წარმატებული ბიზნესია?

— არა და თუნდაც იმიტომ, რომ საშინელი კანონებია. აი, მაგალითად, დასუფთავების სამსახურს, კანონის მიხედვით, თითო სკამზე, სამი ლარი უნდა გადავუხადოთ.

— „ზაზანოვაში“ სულ რამდენი სკამია?

— 60 და ახლა, წარმოიდგინე, 300 სკამი რომ მქონდეს, რამდენის გადახდა მომიწევდა.

— ზაზა, სამი წელია, საქართველოში ცხოვრობ და აქაურობას ალღო ვერ აუღე? — მოიტყუე და თქვი, რომ სულ 10 სკამი გაქვს და გადასახადიც ნაკლები გექნება!..

— რომ მოვიტყუო, ისევ საქართველოში დავრჩები.

— რახან პატიოსანი გადამხდელი ხარ, გგონია, აშშ-ში ცხოვრობ?

— ყოველ შემთხვევაში, „ზაზანოვაში“ კარგი ქართული სახელმწიფოა!

— თუ შემოსავალი, უფრო სწორედ, მოგება არ გაქვს, აბა, ამ სალონს რა გამართლება აქვს?

— ვანო, ვიცი, რაზე და რატომაც მელაპარაკები. როცა ასეთი კანონი უკვე ჩამოყალიბებულ ქვეყანაში არსებობს, კარგია — თუ ხელფასი 3 თასი ლარი გაქვს, შეგიძლია, რესტორანში ყოველდღე იარო და ეს ჩვენს ბიზნესსაც დაეტყობა, მაგრამ ჩვენთან ასეთი სიტუაცია ჯერ იმიტომ არაა, რომ ყველაფერი პოლიტიკოსთა, რბილად რომ ვთქვა, შეცდომებსა და იქამდე მიდის, რომ ქვეყნის ბედს ერთმანეთთან ქიშპობა ანაცვალეს.

გინდა, ისიც გითხრა, პოლიტიკოსები თავგასულები რატომ არიან?

— ბუნებრივია, უნდა მითხრა, მაგრამ პოსტნაციონალური ეპოქის პოლიტიკოსებიც თავგასულები გგონია?

— პოლიტიკოსი პოლიტიკოსია. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ყველა ქვეყანაში ასეა და თვითონაც იციან, ცხვირი რა ბიზნესში აქვთ შეყოფილი!

— ესე იგი, პოლიტიკას ბიზნესად თვლი?

— ბიზნესი ინგლისური სიტყვაა და ქართულად საქმეს ნიშნავს.

— მაგდენი ინგლისური ვიცი!.. ისე, პოლიტიკაში ფული მართლა კეთდება!..

— თუ გინდა, მაგაზეც ვილაპარაკოთ, მაგრამ ჯერ იმას გეტყვი, თუ რატომ არიან პოლიტიკოსები თავგასულები: იმიტომ, რომ მომკითხავი არავინ ჰყავთ. მომკითხავი ხალხია, მაგრამ, როცა ქვეყანაში ხალხის ერთიანობის დეფიციტია, პოლიტიკოსი თავს უფლებას აძლევს, ყალთაბანდი იყოს, ანუ მე, როგორც მოქალაქეს, თუკი პრობლემა მაქვს, ეს ისევ ჩემი ბრალია. როცა ხალხი პოლიტიკოსს აჩვენებს, რომ თავისი სოლიდარობით ძლიერი ძალაა, რასაც ბედავს, ვეღარ გაბედავს!

— ორი წლის წინ, როცა ე.წ. ცოცხების პარტია შინ გაუშვა, ხალხმა თავისი ერთიანობა აჩვენა.

— ეს ერთიანობა არ ყოფილა.

— აბა, რა იყო?

— ეს გაბრაზებული ხალხი იყო. ერთობა კი სიმშვიდით უნდა აჩვენო. აი, მაგალითად, თუ ქუჩაში ვინმე უცენზუროდ დაგელაპარაკება, კი არ ეჩხუბო, შენსკენ მოატრიალო და შენი სიმშვიდე დაანახო. ერთობა ცოცხების დროს კი არა, 9 აპრილს დავინახე, თუმცა ისიც ფსევდოერთობა იყო. 9 აპრილი და ცოცხები ერთმანეთს ჰგავს — გამწარებული ხალხის ერთობა დიდხანს ვერ ძლებს. ერთობა მშვიდთა ხვედრია.

— ზაზა, ნება მომეცი, ამ შეფასებაში არ დაგეთანხმო, რადგან 9 აპრილი უფრო დიდი ეროვნული ემოცია იყო...

— იცი, მაშინ როგორი შეგრძნება მქონდა? — გვქონდა რაღაც ლამაზი ჩემოდანი, სადაც არაფერი იდო... მაშინ კი არა, ახლაც არ ვიცით, თავისუფლება და დამოუკიდებლობა რა არის. თავისუფლებას უდიდესი ვალდებულებები ახლავს და ქართველმა ხალხმა სწორედ ეს არ იცის.

— თავისუფლება ვინ უნდა გვასწავლოს?

— თვითონ უნდა ვისწავლოთ!

— როგორ?

— კარგად უნდა მოვიქცეთ!

— და ცუდად რატომ ვიქცევით?

— გადაშალე გაზეთები, ტელევიზორი ჩართე და ნახავ, ყველა ერთმანეთს აგინებს! ეს საშინელებაა! ქვეყანა ნეგატიურობის ეპიცენტრია!

— ხალხის აზრით, ამ აგრესიის მიზეზი ის 9 წელია, როცა ყველას სცემდნენ, ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ...

— რაც ხდებოდა, საშინელება იყო და ის რომ ვნახო, ვინც ამას აკეთებდა, მიუხედავად იმისა, მშვიდობას ვქადაგებ, თავს გავუპობ.

— ისე, დავით აღმაშენებლის დროს დამნაშავეებს ძელზე სვამდნენ...

— დავით აღმაშენებლის ეპოქა ჩემი პრობლემა არაა, რადგან მაშინ ადამიანებს სხვა ფსიქიკა ჰქონდათ. იმ ეპოქასთან მხოლოდ სადღეგრძელოები გვაკავშირებს. სჯობს, ჩვენს თავს მივხედოთ, თორემ მხოლოდ დავით აღმაშენებელი კი არა, თამარ მეფეც გენიალური გმირია! ისტორია კი გვაჩვენებს, რომ ცხოვრების წესი შეიცვალა და, აქედან გამომდინარე, მთელი ძალა ხალხის ერთობაშია. თუ ხალხის ერთობა იქნება, პოლიტიკოსი ცოტა შეფუცხუნდება, თუ კარგი კაცია, გაუხარდება და ბევრად პროდუქტიული გახდება.

— პრინციპში, ახალს არაფერს ამბობ, რადგან დემოკრატიის საიდუმლო სწორედ ხალხის ძალაუფლებაშია...

— ერთობა სხვა რამაა და ძალაუფლება — სხვა. საბჭოთა კავშირში იყო მცდელობა, ხალხის ძალაუფლება ყოფილიყო, მაგრამ ერთობა არასოდეს ყოფილა...

— ვიღაცები ამტკიცებენ, ამერიკელი ერი არ არსებობსო. ზაზა, ოკეანის გაღმა 18 წელი იცხოვრე. ამერიკელებს ერთობა აქვთ?

— ის ადამიანი მანახეთ, რომელსაც აშშ-ში უცხოვრია და ამბობს, ამერიკელი ერი არ არსებობსო. აშშ-ს ცოდნა ჰოლივუდში, სანსეტის ბულვარზე გავლას არ ნიშნავს. აშშ-ს ვერც ამ ქვეყანაზე გადაღებული რუსული ფილმებით ისწავლი.

— ჰოდა, როგორც აშშ-ში ნაცხოვრებს, გეკითხები: ამერიკელი ერი არსებობს?

— დიახ, არსებობს!

— ერთიანობა ამერიკელებს უფრო აქვთ თუ ჩვენ?

— ჩვენ საერთოდ არ გვაქვს!

— წესით, ჩვენ უფრო უნდა გვქონდეს, რადგან სხვა თუ არაფერი, მაშინ, როცა აშშ, როგორც სახელმწიფო, შეიქმნა, სასწაულად კარგი რაღაცები გვქონდა გაკეთებული...

— ეს კარგი საქმე, მე კი არა, ჩემს წინაპრებს ჰქონდათ გაკეთებული... აშშ-მ რამდენიმე ძალიან მძიმე პერიოდი გამოიარა...

— კარგი, რა, ჩვენზე მძიმე პერიოდი? — ბოლოს და ბოლოს, შაჰ აბასი და მურავნ ყრუ გვინახავს...

— ვერ გავიგე, მეჯიბრები თუ მელაპარაკები?

— გელაპარაკები!

— ამ მძიმე პერიოდების მერე, სწორი კონსტიტუცია დაიწერა და ძალიან მკაცრი კანონების შესრულება დაიწყო, რამაც აშშ იმ დონეზე მიიყვანა, რა დონეზეც დღესაა. შეიძლება, ეს იმის დამსახურებაცაა, რომ აშშ მაინც ემიგრანტების ქვეყანაა და ხალხს იმის განცდა არ აქვს, სამსახურში მაინცდამაინც ნათესავი უნდა მიიღოს. ამიტომაც, იქ „ჩაწყობები“ არასოდეს ყოფილა და ყველამ იცის, თუ ვინმეს არაობიექტურად დაეხმარება, კანონი მკაცრად დასჯის!

— ზაზა, „ჩაწყობა“ ქართული ტრადიციაა, „ტრადიციასთან“ ბრძოლა კარგს არაფერს მოგვიტანს!

— მაგალითად, იმასთან, მთელ ვაჟა ფშაველასა და პავლოვზე შუქნიშნები არასწორად რომაა დადგმული, ნათესაობა კავშირში არ არის. საგზაო მოძრაობის ნიშნების მხრივაც ცუდი მდგომარეობაა. საერთოდ, თბილისში ავტომანქანების მოძრაობა ადამიანების ურთიერთობის პირდაპირპროპორციულია: ერთი დაუწერელი კანონი არსებობს — მთავარია, სხვას არ დავარტყა, თორემ, სადაც მინდა, იქ შევძვრები და გამოვძვრები. ყველაფერი ეს კი იმის ბრალია, რომ ცუდი კანონები გვაქვს.

— ახლა, ვერ გავიგე, ბუსუსებიანი პრეზერვატივის ან, სულაც, ჰიმნის მოსმენისას ქუდის მოხდა-არმოხდის კანონს რას უწუნებ?

— მათ, ვინც ამ კანონებს იღებს, დიდი სიამოვნებით გავესაუბრები...

— პოლიტიკოსები „ზაზანოვაში“ დადიან?

— არა...

— მოკლედ, მაინც ვერ გავარკვიე, რატომ გადაწყვიტე, არამომგებიანი ბიზნესი გაგეკეთებინა... ისე, ვიცი, აშშ-ში მაღალანაზღაურებადი მუსიკოსი იყავი...

— კი, ვიყავი...

— ისიც კარგად იცი, ამ სფეროში ფული როგორ იშოვო... დონ კიხოტი ხარ და გინდა, ადამიანები შეცვალო?

— დონ კიხოტი რა შუაშია?.. ჩვენს ქვეყანაში მუსიკით ფულის გაკეთება ძალიან რთულია...

— თუკი მასკულტურას გააკეთებ, „პაჩკა-პაჩკა“ დოლარები გექნება...

— ან „მას“ უნდა იყოს, ან კულტურა, ერთად არ შეიძლება... „ზაზანოვა“, პრაქტიკულად, თბილისის რეაბილიტაციის ადგილია. მე და მარიკუნა ჩვენ წილს ვაკეთებთ; ვანო, შენ შენი წილი გააკეთე, სხვამ თავისი წილი და ასე, ნელ-ნელა ქვეყანაც აშენდება.

— შენი და მარიკუნას „რეაბილიტაციის გეგმამ“ გაამართლა?

— კი — 18 მუსიკოსი და უამრავი სხვა პერსონალი გვყავს დასაქმებული. ორ თვეში ერთხელ, „ზაზანოვაში“, სხვადასხვა მხატვრის გამოფენა-გაყიდვას აბსოლუტურად უსასყიდლოდ ვმართავთ და პროცენტს არც გაყიდული ნახატებიდან ვიღებთ. აგერ, წიგნების თაროც გვაქვს იგივე პრინციპით...

— და ყველაფერი ეს შენ რას გაძლევს?

— ჩემი ქვეყანა მიყვარს, რა! ხომ შეიძლება?!

— შეძლებით შეიძლება, მაგრამ რა ვქნა, ხანდახან ამ სიტყვების არ მჯერა.

— აი, ეგ ყველაზე დიდი პრობლემაა. ხუმრობით ხან ცისფერყანწელს მეძახიან და ხან რას... საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა ნიჰილიზმია!

— იმ 18 წლის განმავლობაშიც, რაც აშშ-ში ცხოვრობდი, ასე ფიქრობდი?

— რა თქმა უნდა...

— მერე, „რეაბილიტაციის გეგმის“ ხორცშესხმა უფრო ადრე რატომ არ დაიწყე?

— იქაც საქმეს ვაკეთებდი, მერე პროექტები აღარ ავიღე და დავბრუნდი. სხვათა შორის, საქართველოში 2005 წლის ბოლოსაც ჩამოვედი, მაგრამ მაშინ აბსოლუტურად არავის ვჭირდებოდი და უკან წავედი; მერე კი რაღაცები შეიცვალა და ვიდრე ჩამოვიდოდი, მე და მარიკუნა სოციალურ ქსელში იმაზე ვლაპარაკობდით, ყველაზე მეტად, რისი დეფიციტია საქართველოში. ჰოდა, მაშინვე გადავწყვიტეთ, ასეთი სალონი გაგვეკეთებინა.

— ისე, კულტურის მინისტრი ჯაზის ტრფიალია და, წესით, შენ, როგორც ჯაზმენს პრობლემები აღარ უნდა გქონდეს... ქართულ ჯაზფესტივალში მონაწილეობა მიგიღია?

— არა.

— შემოთავაზება არ გქონია?

— არა, თან ჩემს შემოქმედებას უფრო ინდივიდუალურად წარვმართავ. ძალიან ბევრი მუსიკოსი ვიცი, რომელიც გაბრაზებულია, კონცერტები აღარ ტარდება, არავინ გვეძახისო. 18 წელი აშშ-ში ვცხოვრობდი, მაგრამ თეთრ სახლში არავის დაუძახივარ.

— ხელისუფლებებისგან დაფინანსებულ კონცერტებზე რას ფიქრობ?

> **— წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მუსიკოსი არ უნდა თვლიდეს, თუ მთავრობა არ დამიძახებს, ჩემი საქმე ცუდად იქნებაო. მუსიკოსმა მუსიკა უნდა წეროს, კლუბებში იაროს... უნდა იმუშაოს! მუსიკოსობა მთელ მსოფლიოში ყველაზე არასტაბილური პროფესიაა. თუ ვინმეს მოეწონები და სადმე დაგიძახებს, რატომაც არა, მაგრამ არც ისაა პრობლემა, თუ ვინმეს შენი პოლიტიკური განცხადების გამო არ მოეწონები. მერე, რა?!**

საქართველოში რომ დავბრუნდი, ასეთი სიტყვა გავიგე — „დამბლოკეს“. სად დაგბლოკეს?!

— ტელევიზიით...

— მუსიკოსს ტელევიზია რად უნდა? ტელევიზორში რომ გამოვიდეს, ფულს აძლევენ?

— არა, მაგრამ ცნობადი ხდება...

— მთავარი რა არის — ეგო თუ მუსიკა?.. მუსიკა რელიგიაა, უფრო სწორად, რელიგიის ერთ-ერთი ფორმაა და როცა ეგოზე ფიქრობ, ვერაფერს აკეთებ!

— პოლიტიკაც რელიგიაა, ოღონდ ამ რელიგიაში მთავარი ეგოა!

— მოკლედ, მნიშვნელობა არ აქვს, დაგბლოკეს თუ არა. მთავარია, კარგი მუსიკა დაწერო და ქვეყნისთვის საქმე გააკეთო!

— ზაზა, თითქმის ყველა ამბობს, რომ გენიოსი ხარ...

— ჩემზე ამბობენ, რომ გენიოსი ვარ?

— ჰო, რატომ გაგიკვირდა?

— ეგ არ დაწერო, რა?!

— ტყუილად მთხოვ, მაინც დავწერ... ერთი სიტყვით, უმაგრესი მუსიკოსი ხარ, მაგრამ არსებობისთვის სახსარი გენიოსებსაც სჭირდებათ...

— იმას მეკითხები, „ზაზანოვა“ რომ არ მქონდეს, რას გავაკეთებდი?

— დიახ...

— ჯგუფთან ერთად, პროგრამას გავაკეთებდი და საქართველოში ტურს დავიწყებდი. სხვათა შორის, ამ პროექტის განხორციელებას მომავალი წლიდან ვგეგმავ, რადგან თოქ-შოუებით მოწამლულ ხალხს სხვა რამეც სჭირდება

— გეთანხმები, მაგრამ არ მგონია, ხალხს, განსაკუთრებით, პერიფერიებში, იმის განწყობა ჰქონდეს, შენს კონცერტებზე იაროს — კონცერტი ფუფუნებაა, მოსახლეობა კი შიმშილის ზღვარზეა...

— როცა კარგი საქმის გაკეთება გინდა, ღმერთი გაგაკეთებინებს! მე და მარიკუნამ „ზაზანოვა“ არაფრისგან გავაკეთეთ, რადგან ღმერთმა გადმოგვხედა!

— სიტყვამ მოიტანა და, შენ და მარიკუნასგან მხოლოდ კარგი ოჯახური კი არა, საქმიანი ტანდემიც შედგა...

— ერთი ეგეაა: „ელასტიკებს“ არ ვიცმევ, თორემ ორივე ერთნაირად ვფიქრობთ!

— „ელასტიკებზე“ ნატო, უფრო სწორად, ის გამახსენდა, ვიღაცები რომ გვიკიჟინებენ, აშშ გვრყვნის და ქართველობას გვართმევსო. აშშ-მ გაგრყვნა?

— ერის ერთობა ერთმანეთთან ურთიერთობით იწყება და ამის მაგალითი უფრო დასავლეთია!

— შემოთავაზება რუსეთიდან რომ გქონდეს, წახვალ?

— არა, გაბრაზებული ვარ!

— რუსეთმა რა დაგვიშავა, რომ გაუბრაზდი?

— კაცო, რუკას დახედე და მიხვდები, რაც დაგვიშავა!

— ეჰ, ჩემო ზაზა, მე კი ვიცი, რაც დაგვიშავა, მაგრამ ვიღაცები ვერ ხვდებიან და გაიძახიან, რუსეთი ჩვენი ერთმორწმუნე უფროსი ძმა არისო. მოსკოვურ თბილისობაზე რომ მიეპატიჟებინე, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდი?

— იმას, ვინც დამპატიჟებდა, ალბათ, შეურაცხყოფას მივაყენებდი!

— საქართველო ევრაზიულ კავშირში რომ შევიდეს, ქუდს დაიხურავ და ისევ აშშ-ში წახვალ?

— ძალიან არ მიდა, წავიდე... თუმცა აშშ-ში წარმატებული ვიყავი, აქ ყოფნა მინდა! დილით რომ გავიღვიძებ, მინდა, ქართული ლაპარაკი გავიგო!

— თავის დროზე აშშ-ში როგორ მოხვდი?

— ჩემი ჩანაწერები მოისმინეს და რამდენიმე სასწავლებელმა დამპატიჟა. ახალი ორეალნი ავირჩიე... სხვათა შორის, მაშინ ძალიან დათრგუნული ვიყავი — ბევრი მეგობარი მომიკლეს, სულ სროლა იყო, შეროზიაზე სისხლის გუბეები იდგა... არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ვიფიქრე, წავალ აშშ-ში, ვისწავლი, გამოცდილებას დავიგროვებ და დავბრუნდები-მეთქი.

— არეულობის დროს წასვლა გაქცევა ხომ არ იყო?

— ვისაც არ მოვწონვარ, ალბათ, ის იტყვის, რომ გავიქეცი, მაგრამ ვინც მიცნობს, იცის, ჩემი აშშ-ში წასვლა ჩემი ოჯახისა და ძალიან ბევრი ახლობლის გადარჩენა იყო...

— დღესაც დათრგუნული ხარ?

— დღეს დათრგუნული საინფორმაციო გადაცემების მუსიკალური ქუდებით ვარ! საქართველოში იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩემს გარშემო, პატარა რადიუსში, უკეთესობა შევიტანო და თუკი სხვაც იგივეს გააკეთებს, ამას რა სჯობია!

— ზაზა, ქართველების ერთიანობას ვერ ხედავ, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში მთელმა ქვეყანამ ერთიანობის ჯაჭვი შეკრა...

— ეს ჯაჭვი პირველად ბალტიისპირეთის სამმა რესპუბლიკამ გააკეთა და ჩვენც გადმოვამღერეთ. ძალიან კარგი იყო, რომ ამან ბევრი რუსი და ვაიქართველი შეაშინა, მაგრამ ამ ჯაჭვს ინდივიდუალიზმის არაფერი ჰქონდა...

— მაინც ვერ ვხვდები, ერთობაში რას გულისხმობ?

— კარგად მოქცევას!

— რა, ცუდად ვიქცევით?

— ავიღოთ, თუნდაც, მედია — ცუდად იქცევით, აბა, რას შვრებით?

— აბა, შენ რა გინდა, პეპლებსა და ყვავილებზე ვწეროთ და ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, არ გავაშუქოთ?

— სატელევიზიო თოქ-შოუს მთავარი ამოცანა ეფექტურობაა. ირჩევენ, მინიმუმ, ორ ოპონენტს, რომლებიც ერთმანეთის პოტენციური მტრები არიან. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კონფლიქტში იზრდება, რაც წყალს გადაცემის ე.წ. რეიტინგზე ასხამს. ეფექტურია, როცა ეთერში ოპონენტები სხედან და ხაზს თავიანთი მოსაზრებების უპირატესობას უსვამენ, მაგრამ ეს ხაზგასმა რატომღაც ჩხუბსა და დავიდარაბაში გადადის. ამ დროს წამყვანიც ხმას უწევს და მეორე დღეს ხალხი ლაპარაკობს, უი, რა „მაგარი“ (რასაც ადრე „კარგი“ ერქვა) გადაცემა იყოო, მაგრამ სინამდვილეში, ეს „მაგარი“ გადაცემა სულაც არაა. ყველაფერ ამას არ სჯობია, ხალხს ვაჩვენოთ, ორი სხვადასხვა ადამიანი ერთმანეთს როგორ ჰგავს?

— ამის ჩვენება რა საჭიროა?

— ხალხი მიხვდება, რომ არავინ არავისზე უკეთესი არაა და თავმდაბლობაც დაიბადება. თოქ-შოუ რაღაცისმომცემი უნდა იყოს. დღეს კი, თოქ-შოუები ენის ქვეშ ვალიუმის მეტს არაფერს იძლევა! მედიამ უნდა აირჩიოს: ან ფული აკეთოს, ან ისტორია!

— არ გეთანხმები...

— ნუ დამეთანხმები...

— რატომ გგონია, რომ ყველაფერი ჩვენი, ჟურნალისტების ბრალია?

— ყველაფერი არა, მაგრამ ბევრი რამ სწორედ ჟურნალისტების ბრალია...

— მე თუ მკითხავ, ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა იმიტომაა, რომ განათლების დეფიციტია. მედია კი, საგანმანათლებლო ფუნქციას ვერ შეითავსებს...

— ყველა ფსიქოლოგი გეტყვის, რომ წაკითხვა უფრო ძნელია, ვიდრე ყურება. ამიტომ, თურქული სერიალების ნაცვლად, ტელეარხების მეპატრონეებმა, დადებითი შედეგის მისაღებად, კეთილი უნდა ინებონ და, სხვა ფორმულა მონახონ!!!

— კი ბატონო, მაგრამ არც ის შეიძლება, შემოქმედი ადამიანები ერს პირდაპირ აგრესიისკენ მოუწოდებენ, ჩავცხრილოთ, მუცელში ვესროლოთო...

ქართულ რადიოებში შენი მუსიკა რატომ არ ტრიალებს?

— არ ვიცი რაზე მელაპარაკები, ჩემი მუსიკა კი ძალიან ბევრ რადიოშია...

— ზაზა, თოქ-შოუები არ მოგწონს, მაგრამ ახლა გამახსენდა: მასაზე გათვლილ ერთ გადაცემაში შენ და მარინასაც გაქვთ მონაწილეობა მიღებული...

— (იცინის) ჰო, რამდენჯერმე დავგოიმდი!

— ესე იგი, იზიარებ მიშას მოსაზრებას, რომ საქართველო გაბანძებულია?

— ტელევიზორს არ ვუყურებ და არ ვიცი, მიშამ ასეთი რამ თქვა?

— კი, თქვა...

— არც ასეთი სიტყვების გამოყენების მომხრე ვარ...

— ...ოცნება გიყვარს?

— ძალიან და ბევრს ვოცნებობ. ისე, ნაციონალი ქართულად ეროვნულს ნიშნავს და მინდა, ეგეც ვიყო.

— ანუ გინდა, მეოცნებე ნაციონალი იყო?

— რა თქმა უნდა... მგონია, რომ საქართველოში შედეგიანი ერისკაცის დრო დადგა.

— ეს „შედეგიანი ერისკაცი“ საიდან უნდა მოვიდეს?

— ამის პრეტენზია მე მაქვს...

— მაშინ პოლიტიკაში უნდა წახვიდე!

— პოლიტიკაში რატომ უნდა წავიდე? მგონია, რომ შედეგიანი ერისკაცი ვარ, თუმცა საქმეს ჩემთვის, ჩუმად ვაკეთებ!

— ...„ზაზანოვა“ ცხოვრების სტილია?

— არა, ცხოვრების პერიოდი — დღეს იმას ვაკეთებ, რაც ყველაზე კარგად გამომდის. იცი, ბედნიერი რითი ვარ? აქ მოსულები ერთმანეთს იცნობენ და უჩემოდაც მეგობრობენ. ბიჭებს აქ საყვარლები ვეღარ მოჰყავთ — ცოლ-შვილით დადიან, სასულიერო პირებიც მოდიან. აქ ყველას ოჯახივით ვხვდებით!

— ...მარინა რატომ აამღერე?

— იმიტომ, რომ საოცარი ხმა და სმენა აქვს...

— ვიცი, შენს მუსიკას ბიძინა ივანიშვილი უსმენს...

— (იღიმის) დიდი ხანია, აღარ დაურეკავს... საერთოდ, მინდა, ჩემი მუსიკა კონკრეტულ ადამიანს კი არა, ხალხს მოსწონდეს. რომ ვიცოდე, ჩემი მუსიკა, მაგალითად, პუტინს, მაგის სისხლი გაშრა, კარგ განწყობაზე დააყენებს და ბომბებზე აღარ იფიქრებს, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება!

— ზაზა, ბოლოს, რამე მითხარი და თავს გაგანებებ...

— ერთხანს ვფიქრობდი, რომ საჭირო იყო, გამოჩენილიყო ადამიანი, ოღონდ არა პოლიტიკოსი, რომელიც ადამიანობის ნიმუში იქნებოდა. ასეთ ადამიანს სოციალურ გმირს ვეძახი, მაგრამ მერე მივხვდი, სოციალური გმირი ყველა ადამიანშია, მათ შორის, ჩემშიც... გმირობა ყველა ადამიანს არათუ ძალუძს, არამედ, მართებს კიდეც. ეს აუცილებელი იმ ერთობისთვისაა, რომელიც ძალიან გვაკლია!

ზაზა მარჯანიშვილი ცხოვრებას გურამ დოჩანაშვილის თვალით უყურებს — მწერლის ნაწარმოებები თითქმის ზეპირად იცის. ამიტომაც, არ გამკვირვებია, როცა მითხრა, ახალ პროექტს ვაკეთებ — „სამოსელი პირველის“ მუსიკალურ ვერსიაზე ვმუშაობო... მოკლედ, გაზაფხულზე, სავარაუდოდ, ოპერის თეატრში, მუსიკოსი ზაზა მარჯანიშვილი და რეჟისორი ლაშა ონიანი მუსიკალურ სპექტაკლს — „სამოსელი პირველი“ წარმოადგენენ. პროექტში მონაწილეობას სიმფონიური ორკესტრიც მიიღებს...

ეკლესიის რეკომენდაციით შეწყალებულმა პატიმარმა ეკლესია გაძარცვა

„უნამუსო“ და მამა კირიონის „კაიბიჭური“ წარსული

პატიმარი №0578

ციხე ჯოჯოხეთია... ციხეში იმას ნახულობ და გრძნობ, რასაც გარეთ ვერასოდეს ნახავ და იგრძნობ. ციხეში ხვდები, სადამდე შეიძლება წავიდეს ადამიანი და რა შეიძლება გააკეთოს კუჭის გულისთვის. პატიმარს თუ „ლიანდაგივით სროკი“ აქვს, ეს ნიშნავს, იქ დარჩენას, სიკვდილს შინაგანად შეგუებულია და მიუხედავად იმისა, რომ ყოველი შეწყალების წინ ნერვიულობს და იმედი აქვს, ზუსტად იცის — უმძიმეს დანაშაულს არავინ აპატიებს. უბრალოდ, სხვაგვარად არ შეუძლია, იმედს ვერ დაკარგავს, რადგან ეს ერთადერთია, რაც იქ შერჩა და როგორც ერთხელ, საპატიმროში, ცოტნე გამსახურდიამ თქვა, სწორედ ეს იმედია, საბოლოოდ რომ ანადგურებს და ანგრევს, გაცრუებული იმედი, ფუჭი იმედი...

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ პატრიარქის ყოველი დაბადების დღის წინ, აქტიურად იწყება საუბარი, რომ საქართველოს კათალიკოსი პრეზიდენტს სთხოვს და ყველა პატიმარს, განურჩევლად ასაკისა და დანაშაულისა, ერთ ან ორ წელს ჩამოაკლებს. ვიღაცები მღვდლებს სთხოვენ შუამდგომლობას პატრიარქთან და ამტკიცებენ, რომ გამოსწორდნენ, მარხულობენ და წვერს იმიტომ კი არ ატარებენ, რომ გაპარსვა ეზარებათ, არამედ ღმერთი იწამეს, იპოვეს, ეკლესიურ ცხოვრებას შეუდგნენ...

„უნა, შენთან მამაოა“, — მიაძახა ოფიცერმა პატიმარს და ისიც ჩაცმას შეუდგა. მამაო თავად დაიბარა, შობა ახლოვდება და უნდა ვეზიაროო. „უნა“ მეტსახელის შემოკლებული ვარიანტი იყო, ისე, ყველა „უნამუსოს“ ეძახდა და არც თავად სწყინდა, ვიყავი უნამუსო და გამოვსწორდიო. „უნა“ სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა, უფრო ზუსტად კი, სიმამრის სახლის გაქურდვისთვის. გაბრაზებული იტყოდა ხოლმე, ცოლმა ჩამიშვა, თორემ ჩემი დამჭერი არავინ იყოო. ცოლმა კი იმიტომ „ჩაუშვა“, რომ საგვარეულო ბეჭედი იცნო, ბეჭედი, რომელსაც მე-17 საუკუნიდან ოჯახის დიასახლისი უფროს რძალს გადასცემდა. მოყვრებმა „უნამუსო“ არ დაინდეს და... შვიდ წელს „პატიოსნად“ იხდიდა.

„მორჩა ჩემი მოპარვა და ქურდული ცხოვრება. აქედან რომ გავალ, მონასტერში ვიცხოვრებ, ხეზე კვეთას ვსწავლობ და, თუ ვერ ვისწავლი, მონასტერში შავ სამუშაოს რა დალევს, იმას გავაკეთებ“, — ამბობდა „უნა“ და მღვდელს ხშირ-ხშირად იბარებდა. მამა კირიონი არ მალავდა, რომ „უნამუსოსთვის“ შეწყალების თხოვნა მეუფესთვის უკვე გამზადებული ჰქონდა, მაგრამ მაინც ფრთხილობდა. პატიმრებისგან ხშირად ესმოდა, „უნამუსოს“ გამოსწორება არ იქნებაო.

შობის შემდეგ თვე გავიდა, „უნამუსო“ ეზიარა და ისიც თქვა, შეიძლება „სვაბოდაზე“ საღდგომოდ გავიდეო. ზონაზე მამა კირიონი ამჯერად დაუბარებლად მოვიდა, რამდენიმე პატიმრის სახელი და გვარი ამოიკითხა და ზონის ეკლესიაში შეაგროვა. მამა კირიონს ყველა იცნობდა, მაგრამ ახლო ურთიერთობა სულ რამდენიმეს ჰქონდა და მისი მოულოდნელი სტუმრობა გაუკვირდათ. დასახელებულ პატიმრებს შორის ზონის მაყურებელიც იყო და 0578-იც.

„ჩემო შვილებო, აქ იმიტომ შეგყარეთ, რომ რჩევა მინდა გკითხოთ. არ მინდა, შევცდე. მეუფეს უკვე ვთხოვე „უნამუსოზე“ (მამა კირიონიც „უნამუსოს“ ეძახდა თავის სულიერ შვილს) და სავარაუდოდ, პატრიარქიც არ იქნება წინააღმდეგი, მაგრამ უნდა მითხრათ, ქურდობისთვის უკვე მეოთხედ ნასამართლევი კაცის გამოსწორება რამდენად შესაძლებელია?!“ — იკითხა მამა კირიონმა.

პატიმრებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ კი — ზონის მაყურებელს. პირველი სიტყვა მას უნდა ეთქვა.

„მამაო, ჩვენ რა კრიტერიუმებით შეგვარჩიე?“, — იკითხა მაყურებელმა.

„ადმინისტრაციას ვკითხე, აქ ჭკუა ვის მოეკითხება და გვარები მომცეს“, — დაიბნა მამაო.

მაყურებელმა ჯერ თავი დახარა, მერე მშვიდად მივიდა ხატთან, სანთელი აანთო, პირჯვარი გადაიწერა, წმინდა გიორგის ტროპარი წაიკითხა და მღვდელს თვალი თვალში გაუყარა.

„ამ ზონაზე სამი ათასი პატიმარია და თქვენ თუ ერთ პატიმარს მაინც მომიყვანთ, რომელიც სხვა პატიმარზე იტყვის, ციხიდან გასაშვები არ არისო, ჩემი ხელით დავკლავ. ვინ გამოსწორდება და ვინ არა, ეს პირადი საქმეა, ამიტომ გადაწყვეტილება თქვენ უნდა მიიღოთ. რაც შეეხება იმას, უნდა შეიწყალოთ თუ არა „უნამუსო“, მარტო ეგ კი არა, თუ შეგიძლიათ და ხელგეწიფებათ, მთელი ზონა დაცალეთ. ჩემს თავზე არ გეუბნებით, არც „კაიბიჭებზე“, ჩვენი 90% უარს იტყვის შეწყალებაზე, დანარჩენებს უშველეთ და თეთრი და შავი გარეთ გამოჩნდება. ესეც არ იყოს, ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთ კაცზე დავდებ თავს და ის ერთი მე ვარ. ეს არის ჩემი პასუხი და არ მგონია, ბიჭებს სხვა აზრი ჰქონდეთ“, — თქვა მაყურებელმა და პატიმრებს თვალი მოავლო.

ყველამ უხმოდ დაიქნია თავი და 0578-ის ხმაც გაისმა.

„ერთ კაცის ნდობა ძნელია,
გინდა გადიქცეს გონებად
და შეუმცდარი ამქვეყნად
მეფეცა ნუ გეგონებათ...

წაკითხული გექნებათ ეს პოემა, მამაო, და თუ ფიქრობთ, რომ შეცდებით, ლოცვებში მოინანიებთ. შეუმცდარი არავინაა და ვგონებ, თუ „უნამუსო“ უნამუსოდ მოიქცევა, მეუფე გაგიგებთ, შეგინდობთ... ერთი ეგაა, შემდგომში თქვენს რეკომენდებულ პატიმრებს საპატრიარქოში ნაკლებად გაითვალისწინებენ და ეს როგორც თქვენთვის, ისე პატიმრებისთვის არის ცუდი“, — მშვიდად თქვა 0578-მა და პატიმრები ეკლესიიდან გავიდნენ.

სააღდგომო შეწყალებაზე საპატრიარქომ სულ ცხრა ადამიანის სია გადასცა პრეზიდენტს და იმ ცხრაში „უნამუსოც“ იყო. აღდგომის დილას პატიმრებს ადმინისტრაციამ თითო წითელი კვერცხი ჩამოურიგა და „უნამუსოს“ კამერიდან მისი ღრიალი გაისმა: „გავდივარ, კვერცხი არ მომიტანეს, გავდივარ...“ ზონაზე ასეა: თუ პატიმარი გადის, მისი წილი საჭმელი და პური იმ დილით არ მიაქვთ. მართლაც, „უნამ“ ზონა ერთ საათში დატოვა და მისი არსებობა მეორე დღეს ზონაზე აღარავის ახსოვდა, რადგან იქ ყველას თავის საზრუნავი აქვს, ყველა გადარჩენისთვის იბრძვის.

ამ ამბიდან ექვსი თვის შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში მონასტერი გაქურდეს. ძვირფას ხატებთან ერთად, ისტორიული ჯვარიც დაიკარგა ოქროს რკალით, თუმცა ამბობდნენ, ოქრო იმდენად არაფერი, ჯვარი სიძველის გამოა შეუფასებელიო. სამართალდამცავებმა ქურდი მეორე დღეს დააკავეს და მართალია, დაფარული სახით გამოაჭენეს ტელევიზორში, მაგრამ პატიმრებმა „უნამუსო“ მაშინვე იცნეს. ერთ საათში მაყურებლების კამერაში ის პატიმრები მოგროვდნენ, ვინც მაშინ მამა კირიონმა ეკლესიაში შეკრიბა. მაყურებელი ირონიული ღიმილით აკანტურებდა თავს, ბოლოს კი მშვიდად თქვა: „აქ მოიყვანენ ისევ იმ უბედურს. მე ქურდობას ვერავის დავუშლი, მაგრამ ეკლესია-მონასტრის გაქურდვისთვის ყველას მოეთხოვება. ეგ არაქურდულია და ამიტომ, ბატონი „უნა“, საუკეთესო შემთხვევაში, „კაზლიატნიკში“ წავა, უარეს შემთხვევაში კი — საქათმეში და ამის გარანტი მე ვიქნები“.

„უნამუსოს“ სასამართლო პროცესები რვა თვეში დასრულდა და ახალი, შვიდწლიანი „სროკით“ ისევ ზონაზე გადაიყვანეს. მაყურებლების კამერაში მანჭვა-გრეხით შევიდა, მაყურებელს გაუღიმა და ლაქუცით უთხრა: „არ იქნა რა ჩემი გამოსწორება, ბრატჯან, ისევ მოვედი...“

„უნა, ძალიან მარტივ კითხვას დაგისვამ და მაგაზეა შენი მომავალი დამოკიდებული. არ ვიცი, როგორ, მაგრამ უნდა ახსნა, რატომ გაქურდე მონასტერი და თუ ვერ ახსნი, საქათმეს ერთი ქათამი შეემატება“, — უთხრა მაყურებელმა და „უნამუსომაც“ გაზეპირებული ფრაზა ისროლა: „თავანი მქონდა ჩასაბარებელი, 30 ათასი წავაგე და რა მექნა?!“

მოულოდნელად, მაყურებელმა ჯიბიდან მობილური ამოიღო. ყველამ იცოდა, ზონაზე მობილური იყო, მაგრამ მის არსებობას არავინ აღიარებდა. ახლა კი მაყურებელს ხელში ეჭირა.

„უნა, აგერ მობილური. ახლა დაურეკავ იმ ტიპს, ვისთანაც წააგე და ტელეფონს მე მომაწვდი. თუ ის იტყვის, 30 ათასი მოგიგეო, საუბარს გავაგრძელებთ, რადგან მხოლოდ ეს პასუხი არ მაკმაყოფილებს. თუ იტყვის, რომ არ იცის, რას ვეკითხებით ან სხვა ციფრს დაასახელებს, მაგალითად, ათ ლარს, ჩათვალე საქათმეში ყველაზე კვერცხისმდებელი დედალი იქნები. აგერ, ტელეფონი და ახლავე დარეკე“, — მაყურებელმა ხმაში რკინა გაურია.

„უნამუსომ“ ხელის კანკალით ჩამოართვა მობილური, მერე კამერას მოავლო თვალი და თანაგრძნობა რომ ვერავის სახეზე ამოიკითხა, ციფრების აკრეფას შეუდგა. მერე, ტელეფონი მაყურებელს ლამის ტირილით მიაწოდა...

„მე რუსთავის ზონის მაყურებელი ვარ. ვის ვესაუბრები?!“ — იკითხა მაყურებელმა.

„უფალმა დაგლოცოს, შვილო, მამა კირიონი ვარ“, — გაისმა მეორე ბოლოდან.

მაყურებელს ტელეფონი ხელში შეაცივდა, „უნამუსოს“ შეხედა და ამ უკანასკნელმა ბოლო ხმაზე იღრიალა: „მიშველე მამაო, ახლავე მიშველე, მკლავენ“. მაყურებელმა ტელეფონი გათიშა და „უნამუსოს“ მუცელში წიხლი ჩააზილა. თითქოს ნიშანი იყოო და წაქცეულ პატიმარს წიხლები ყველამ დაუშინა. ხმაურზე ოფიცრები შემოცვივდნენ და „უნამუსო“ ძლივს გაათრიეს.

„საქათმეში გაუშვით, ამასთან ერთად კამერაში არავინ იცხოვრებს“, — გასძახა მაყურებელმა ოფიცრებს და „უნამუსომ“ არაადამიანური ხმით კიდევ ერთხელ ამოიგმინა. ოფიცრები მალე დაბრუნდნენ და მაყურებელს ჩუმად უთხრეს, მამა კირიონმა დარეკა, გზაში ვარ, მანამდე მაყურებელმა არაფერი მოიმოქმედოს და „უნამუსოც“ კარცერში დამახვედრეთო. ზონის ყოჩმა თავი მშვიდად დაუქნია. მამა კირიონი ერთ საათში მოვიდა და, როცა საქმის ვითარებას გაეცნო, მაყურებელს ლამის ფეხებში ჩაუვარდა, მე მაპატიე მაგის თავი, მე ხომ შევცდი და ახლა შენ ცდები, არ არის ეგ საქათმისა და რაღაც საშინელებების ღირსი, უფალი თავად განსჯის, შენ ამის უფლება არ გაქვსო, თუმცა მაყურებელი შეუვალი იყო — საქათმე თუ არა, მაშინ „კაზიოლებში“ უნდა გავუშვა, ჩვეულებრივ კამერაში არ ვაცხოვრებ, შენ კი არა, უფალმა რომ მთხოვოს, მე ჩემი უფალი მყავსო.

„უნამუსო“ კარცერიდან ამოიყვანეს და როცა გაიგო, საქათმეში აღარ უშვებდნენ, „უბრალოდ კაზიოლი“ იქნებოდა, სიხარულისგან ლამის ცეკვა დაიწყო. როგორც ჩანს, ზედმეტმა ემოციებმა განსჯის უნარი დააკარგვინა და მღვდელს მხარზე ხელი დაუტყაპუნა: „ჯიგარი ხარ, რა, კირიონ, ჯიგარი... ძმა ხარ ჩემი...“

და ამ დროს მოხდა ის, რაც ალბათ, არასოდეს არსად მომხდარა: მამა კირიონმა ერთი ზეციისკენ აიხედა, მერე კი „უნამუსოს“ შეხედა და სახეში ისეთი შემოჰკრა, ლაწანის ხმას სხვა ზონა თუ არა, რუსთავის მოსახლეობა ნამდვილად გაიგებდა. „უნამუსო“ ოთახიდან გაათრიეს, მღვდელმა კი თავი ჩაღუნა და მღელვარედ თქვა: „შემინდე უფალო... მეც მოკვდავი ვარ...“

მერე მაყურებელს გაუსწორა თვალი და ჰკითხა: „შენ არ გაინტერესებს, როგორ ვცხოვრობთ მონასტერში?! ერთხელ ამოდი, გვინახულე. მითხრეს, ორ კვირაში გადისო...“

„ამოვალ, მამაო, აუცილებლად ამოვალ“, — გაუღიმა მაყურებელმა.

„კარგი, დავიმახსოვრებ. როგორც ვიცი, „კაიბიჭის“ სიტყვა თავანია და ამ თავნის ჩაბარებას დაველოდები“, — ღიმილით უთხრა მამა კირიონმა.

„საიდან იცი ამდენი, მამაო, ათ წამში რომ გამთავნე?!“ — გაეღიმა მაყურებელს.

მამა კირიონმა ანაფორის საყელოს კუთხე გადაიწია და ბეჭზე ამოსვირინგებული ე.წ. ქურდული ვარსკვლავი გამოაჩინა.

„თავის დროზე მეც ვიჯექი, მეც „კაიბიჭობა“ და ქურდობა მინდოდა, შემდეგ კი აქ გაცნობილ მღვდელს შევპირდი, მონასტერში ამოვალ-თქო. ავედი და დავრჩი. მეგონა, უნამუსოც ასე მოიქცეოდა, მეგონა, ჩემსავით იფიქრებდა, მაგრამ ხომ დაინახეთ, რა გამოვიდა?!“ — ჩუმად თქვა.

„ტოლსტოი ამბობს, დიავოლ ეტო პადშიი ანგელ, თავიდან ისიც ანგელოზი ყოფილა, მერე გამხდარა ზნედაცემული და ნურც „უნამუსოს“ შევაწმენდ ყველაფერზე ხელს, მით უმეტეს, კაცს „უნამუსო“ ჰქვია“, — ღიმილით უთხრა პატიმარმა 0578-მა.

„ეს ვინ არის, ხან პოემას რომ მიკითხავს და ხან ტოლსტოის?!“, — გაეღიმა მამა კირიონს.

„ეს ის არის, თქვენ რომ არ მოსულიყავით, „უნამუსოს“ საქათმისთვის რომ ვერ გაიმეტებდა და ტვინს შემიჭამდა, გადაიფიქრეო“, — ღიმილით უპასუხა მაყურებელმა.

ვერსიანიუსი

მცხეთელმა პოლიციელებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს

შსს-ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აქციის – „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ – ფარგლებში ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ აქციაში თითქმის ორი წელია მონაწილეობს და სამინისტროს თანამშრომლები, იაშვილის სახელობის კლინიკის „სისხლის ბანკის“ დახმარებით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს რეგულარულად აბარებენ.

სისხლის ჩაბარების აქცია როგორც თბილისში, ისე საქართველოს ყველა რეგიონში პერმანენტულად იმართება და მასში სამინისტროს ყველა დანაყოფის თანამშრომელი მონაწილეობს. სამინისტროს აღნიშნულ აქციაში მონაწილეობის მიზანი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირებაა.

„ვერსიანიუსი“

სამართალი

დაეხმარეთ შერიგებაში გოგიას და მიხოს

მედიატორი თუ მოსამართლე?

საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე თვის წინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეიტანა დამატება მედიაციის ინსტიტუტის შემოღების შესახებ. მედიაცია არის დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება. ამ ინსტიტუტის მეშვეობით მოდავე მხარეებს შეუძლიათ არა სასამართლოში, არამედ მედიაციის ცენტრებში მოაგვარონ სადაო საქმე.

განვიხილოთ პირობითი მაგალითი: თუ მანაველმა გოგია პაპამ ერთ დილას აღმოაჩინა, რომ მეზობელმა მიხომ მისი ვენახისკენ უსამართლოდ გადმოსწია ღობე, ცხადია ამას დიდი დავიდარაბა მოჰყვება. შესაძლოა საქმე იქამდეც მივიდეს, რომ საკუთრების უფლების დაცვის პროცესში მოდავე მხარეებმა საერთო ენა ვერ გამონახონ და სასამართლოს მიმართონ. ან სულაც ვერ მიმართონ, რადგან გოგია პაპას, რომელიც ამ შემთხვევაში დაზარალებულად თვლის თავს, არ ჰქონდეს იმდენი ფული, რომ სასამართლოს ბაჟი გადაიხადოს და ადვოკატიც დაიქირავოს. მეტიც, გულის სიღრმეში შესაძლოა სულაც არ სურდეს მიხოსთან ორი მტკაველა მიწისთვის ურთიერთობის საუკუნოდ გაფუჭება და სასამართლოში სირბილი. ამ დროს ასევე შესაძლებელია, რომ გოგია პაპას ჯიბრზე გაჯიქებული მიხოც იგივეს ფიქრობდეს და ნატრობდეს კიდეც, ნეტავ ვინმე მადლიანი გამოჩნდებოდეს, რომ გაფიცხებული ტვინები გაგვიგრილოს და ერთმანეთთან ადმიანურად დალაპარაკება შევძლოთო. ამ შემთხვევაში მოდავეთა შორის მედიატორის ჩართვა სწორედ ნანატრი სიტყვამადლიანის გამოჩენას ნიშნავს, რომელიც მოქიშპეებს აშოშმინებს და მოუწოდებს, თვითონვე მოძებნეთ გამოსავალი ისე, რომ ორივე კმაყოფილი დარჩეთო. ამავე დროს, დამკვირვებლისა და მრჩეველის ფუნქციით მუდმივად მონაწილეობს შეხვედრის პროცესში, რომ მეზობლების ფიცხმა ხასიათმა თავისი არ ქნას და საქმე ისევ უკან არ წავიდეს.

გასათვალისწინებელია ის ამბავიც, რომ მანაველმა გოგიამ და მიხომ ჯერ არაფერი იციან მედიატორის არსებობის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ამ ინსტიტუტის დამკვიდრების შესახებ კანონიც ახალია და შესაბამისად მომსახურების ცენტრებიც იმდენად მცირე არის, რომ ჯერ მანაველების ყურამდე ამ ამბავს არ მიუღწევია. ასეთ დროს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მედია საშუალებებს. პრესას და ტელევიზიას, ან თუნდაც პოპულარულ ენაზე შედგენილ საინფორმაციო ბუკლეტებს, რომელიც შესაძლოა სულაც ვენახის, ლითონის მავთულით მოქსოვილ ღობეში გაჭედო ისე, რომ გოგიას, შაქროს და ივანეს თვალში მოხვდეს. წაიკითხავენ და გლეხებს ეცოდინებათ, რომ სასამართლოს გარდა, არსებობს დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალება, სადაც იაფად, სწრაფად, მხარეებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნებით და კონფიდენციალურად ორივე მხარე მოგებული რჩება. დიახ, სასამართლოსგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში არ არსებობს მოგებული და წაგებული. მხარეები ერთად ეძებენ გამოსავალს და მიდიან სასურველ შედეგამდე.

თუმცა, იდეალური არაფერია და ასეთი საბოლოო შედეგის მიღების ასპროცენტიანი შანსიც არ არსებობს. როგორც მანავში იტყვიან, შესაძლოა გოგიას ან მიხოს ღმერთი გაუწყრეთ და მოლაპარაკების პროცესი გაწყვიტონ. ან მოდავე მხარეები ბიზნესმენი გიორგი და მისი პარტნიორი მიხეილი იყვნენ, რომლებიც წილებს ვერ იყოფენ და არც კომპრომისის გამონახვა სურთ. ერთერთის მხრიდან დათმობა ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს, რადგან მედიაციას მხოლოდ მაშინ შეუძლია პროცესის წარმართვა, როდესაც ორივე მხარე თანახმაა მედიატორს მიმართონ.

ვინ არის მედიატორი? - მიუკერძოებელი, ნეიტრალური პიროვნება, რომელიც მოდავე მხარეებს აუხსნის საქმის ვითარებას და შეეცდება მოარიგოს. ეხმარება ძირითადი პრობლემების გააზრებაში, საერთო ენის გამონახვასა და საბოლოო შეთანხმებაში. მედიაცია ნებაყოფილობითია და თუ ჩვენს გმირებს, გოგიას ან მიხოს მოლაპარაკების პროცესის დატოვება მოუნდება, მათ ამის სრული უფლება აქვთ. თუმცა, სასურველია, რომ ეს არ მოუნდეთ და მედიატორის დახმარებით კეთილგონიერება ეყოთ საქმის კეთილად დასაგვირგვინებლად, ისე, რომ მერე მაინც სასამართლოში არ დაიწყონ სირბილი, სადაც საქმეს მოსამართლე განიხილავს და განაჩენი სახელმწიფოებრივი იძულების წესით აღესრულება. სასამართლოში ზოგჯერ პროცესი წლობით იწელება და ითხოვს დამატებით ხარჯებს თუნდაც ლი მეზობლების შემთხვევაშიც, სხვა თუ არაფერი, სასამართლოს მოსმენები შესაძლოა ისეთ დროს დაინიშნოს, როდესაც ვენახი დასამუშავებელია, ან სულაც რთველია მოსამთავრებელი. ამ დროს გლეხის მოცდენა კი ნამდვილად დამაზარალებელია.

კანონპროექტის ავტორების განმარტებით, მედიაცია არამხოლოდ მოდავეთათვის, სახელმწიფოსთვისაც მომგებიანია. მისი ფართოდ გამოყენება ხელს უწყობს სასამართლოების განტვირთვას და სახელმწიფო რესურსების დაზოგვას. მედიაციის პროცესი გაცილებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს და უფრო მდგრადი შედეგებითაც გამოირჩევაო. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორის გათვალისწინებით, პროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ მედიაციის ინსტიტუტი, რომელიც აშშ-ში და ევროპაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, საქართველოშიც დიდ წარმატებას მიაღწევს. თავდაპირველად მედიაციას ის დავები დაექვემდებარება, რომელიც, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ძირითადად მორიგებით სრულდება: საოჯახო სამართალებრივი, მემკვიდრეობითი და სამეზობლო დავები.

ვის და სად უნდა მიმართონ მოქალაქეებმა, თუ დავების გადაწყვეტას მედიატორის ჩარევით დააპირებენ? ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ არასამთავრობო ორგანიზაციის „მედიაციის ცენტრის“ თავმჯდომარე **ლევან გეგეშიძეს**.

- არსებობს მედიაციის ორი სახე: სასამართლო და არასასამართლო მედიაცია. სასამართლო მედიაცია გულისხმობს მედიაციის პროცესის წარმართვას თავად სასამართლოში. საქართველოში ამ ეტაპზე ჩამოყალიბების და განვითარების პროცესშია მედიაციის ორივე ფორმა. არასამართლო მედიაცია ახლა იწყებს განვითარებას. შესაძლოა მოდავეებმა სარჩელი შეიტანონ სასამართლოში, მაგრამ საქმის არსიდან გამომდინარე, მოსამართლემ ურჩიოს, რომ მედიატორს მიმართონ. არასასამართლო მედიაციაზე არჩევანის გაკეთება კი სასამართლოს გარეშე შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

ჩვენი ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია არასასამართლო მედიაციის განვითარება. უახლოეს მომავალში უცხოელ პარტნიორებთან ერთად ვგეგმავთ მედიატორების მომზადებას. კანდიდატები კონკურსის საფუძველზე შეირჩევა. ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში, თუ მას გააჩნია ბუნებრივი უნარ-ჩვევები საიმისოდ, რომ მოლაპარაკებების დარეგულირება და საჭირო კალაპოტში წარმართვა შეძლოს. ვფიქრობ, საზოგადოება მარტივად აუღებს ალღოს ამ ინსტიტუტს, რადგან ჩვენ მედიატორობის უძველესი ტრადიციები გვაქვს მახვშების და ხევსბერების ინსტიტუტის სახით. წარსულის გამოცდილება ალბათ კარგ როლს ითამაშებს. ხალხის წახალისება-მიჩვევას იმითაც შევეცდებით, რომ საწყის ეტაპზე ჩვენი მომსახურება უფასო იქნება. მედიაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაც ხომ სწორედ ეს არის, ხარჯები შემცირდეს, დრო დაიზოგოს და კონფლიქტური სიტუაციები აღმოიფხვრას. აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება, ამიტომაც ამ მიმართულებით დიდ საინფორმაციო კამპანიას ვგეგმავთ, სადაც მედიას ძალიან დიდი დახმარების გაწევა შეგიძლიათ.

– მედიაციის მომსახურების ცენტრები სად გექნებათ, მხოლოდ თბილისში და დიდ ქალაქებში?

- რეგიონებშიც. პირველ ეტაპზე თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში, სადაც უკვე გვყავს კადრები, ანუ მომსახურების რესურსი გაგვაჩნია. დროთა განმავლობაში მთელ ქვეყანას მოვიცავთ.

– უკვე თუ გქონდათ საქმეები, რომელიც მედიატორების დახმარებით მოგვარდა?

- დიახ. განსაკუთრებით ბიზნესმენები დაინტერესდნენ დავების მოგვარების ამ მეთოდით. იმის გამო, რომ სასამართლოში საქმე წლობით ეწელებათ, მათი ბიზნესი ზარალდება. ამიტომაც რაციონალურად იღებენ გადაწყვეტილებას, საქმის მოგვარება იქ სცადონ, სადაც ხარჯი ძალიან დაბალია, დადებითი შედეგის შანსი კი მაქსიმალური.

P.S. *სანამ ქართული მედიაციის სისტემა საბოლოოდ დაიხვეწება, ალბათ ხშირად მოგვიწევს ამ ინსტიტუტის შესახებ მსჯელობა. მანამდე კი მთავარია, ხალხის ყურამდე მივიდეს საჭირო ინფორმაცია. რათა ნაკლოვანებები და ღირსებები მუშაობის პროცესში გამოვლინდეს.*

ეკა ლომიძე

დიკლოფენაკი ინფარქტს იწვევს

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

გარკვეული პრეპარატების რეცეპტით გაცემის ჯანდაცვის სამინისტროსეულმა ინიციატივამ ხალხი, რბილად რომ ვთქვა, გააღიზიანა, ყველა წვრილმანზე ექიმთან როგორ ვირბინოო. მართალია, „საყოველთაო რეცეპტები“ ცუდი სულაც არაა, რადგან ამა თუ იმ პრეპარატის უკონტროლოდ მიღების ლამის საუკუნოვანი მახინჯი პრაქტიკა უამრავი პრობლემის სათავეა, მაგრამ რა ქნას საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ, რომელიც წლებია, სიღარიბის ზღვარსა და მის ქვემოთაც „ამაყად“ დააბიჯებს და რომლისთვისაც ე.წ პირველადი მოხმარების შედარებით იაფი წამლები — ვალიდოლი, კორვალოლი, ვალოკორდინი... ერთადერთ ხსნად იქცა?! ისე, უცხოელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ეს წამლები სამკურნალო სულაც არ არის და ხშირად ჯანმრთელობასაც ვნებს. თუკი ასეა, საკითხავია, რატომ ხვდება ასეთი პრეპარატები მსოფლიო ბაზარზე და რატომაა თავისუფალ გაყიდვაში? — ისევ და ისევ ფარმაცევტულ კომპანიათა ფოკუსებთან მივდივართ, რადგან ამ წამლების არაეფექტურობა, როგორც ირკვევა, რატომღაც კლინიკური ცდებისას კი არა, მაშინ გამოვლინდა, როცა მსოფლიოში მათზე ძალიან დიდი მოთხოვნა გაჩნდა.

ვალიდოლი, ვალოკორდინი, კორვალოლი და პირველადი მოხმარების სხვა პრეპარატები შეიძლება, აიკრძალოს — ბრიტანელი მეცნიერების სკანდალური ანგარიში

ვალიდოლი ფართო მოხმარების წამალია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ იგივე ეფექტი აქვს პიტნის კანფეტსაც. ვალიდოლი განსაკუთრებულ კომპონენტს არ შეიცავს და ამიტომ, შეიძლება, მხოლოდ მაშინ იმოქმედოს, თუ ცოტა ინერვიულეთ, მაგრამ არ „იმუშავებს“, თუ პრობლემები გაქვთ გულზე და სწორედ ესაა ვალიდოლის საფრთხეც — გულის არეში ინტენსიური ტკივილისას საჭიროა ეფექტური პრეპარატი და არა — წყალწყალა წამალი.

ესენციალე და მსგავსი ჰეპატოპროტექტორები, წესით, ღვიძლს უნდა იცავდნენ. საერთოდ, ღვიძლი მეტად მნიშვნელოვანი ორგანოა, რომლის სტრუქტურასაც ადამიანები დიეტითა და ალკოჰოლური სასმელით ანგრევენ. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ჰეპატპროტექტორები, მათ შორის, ესენციალე, რომელიც ჰეპატოციდების დაზიანებულ მემბრანას თითქოს აღადგენს, მაგრამ როგორც ირკვევა, ეს მხოლოდ მწარმოებელი კომპანიის მიერ შექმნილი მითია.

აკვა-მარისიც მოდური პრეპარატია, რომელსაც პედიატრები აქტიურად უწერენ პატარებსა და მათ მშობლებს. სინამდვილეში, აკვა-მარისი მხოლოდ მარილწყლით სავსე ბოთლია, რომელიც შეიძლება, საჰარას უდაბნოში გამოგადგეთ, რათა სასუნთქი გზები გაუწყლოებისას არ გამოშრეს, თორემ სურდოს დროს მისი გამოყენება გამართლებული ნამდვილად არაა.

არბიდოლი, 2008 წლიდან, იმუნიტეტისთვის ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი პრეპარატია, რომელიც, როგორც ახლახან გაირკვა, არაფერს წარმოადგენს და ზოგი ექიმის აზრით, ჯანმრთელობისთვის საშიშიცაა, რადგან არღვევს ორგანიზმის მიერ საკუთარი ინტერფერონის გამოყოფის ბუნებრივ პროცესს. ამ წამლის ეფექტურობის კვლევა არასოდეს ჩატარებულა და მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, რატომ და რა გზით მოხვდა ის გაყიდვაში.

დასასრული მე-10 გვერდზე

თიბისი ბანკი წარმოგიდგენთ „ფული და სურვილების“ ახალ სეზონს ახალ წამყვანთან, ნათია ზედგინიძესთან ერთად

თიბისი ბანკი განაგრძობს გასული სეზონის წარმატებულ პროექტს „ფინანსური რჩევები“, ამჯერად, უკვე ახალ წამყვანთან, ნათია ზედგინიძესთან ერთად. პროექტი, ტრადიციულად, წარმოგიდგენთ პირადი ფინანსების მართვის საკითხებზე ნათია ზედგინიძის მოკლე, საგანმანათლებლო ვიდეოებს youtube-სა და Facebook-ზე და ასევე სატელევიზიო შოუს „ფული და სურვილები“.

გადაცემა ახალ წამყვანთან ერთად 30 ნოემბერიდან განახლდება და მაყურებელს მისი ნახვა შეეძლება ყოველ კვირას, 20:00 საათზე, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში. ხოლო youtube-სა და Facebook-ზე ნათია ზედგინიძის ვიდეოების ნახვა უკვე შესაძლებელია.

გადაცემასა და ინტერნეტვიდეოებში ნათია ზედგინიძე პირადი ფინანსების მართვის ისეთ საკითხებს შეეხება, როგორიცაა ფულის ყაირათიანად ხარჯვა, სესხების სწორად მართვა, დაზოგვა და ა.შ. ამ და სხვა საინტერესო თემებზე ნათია ზედგინიძე თავის სტუმრებთან ერთად ისაუბრებს, სასარგებლო რჩევებს გაგიზიარებთ და შეეცდება, დაგეხმაროთ ყოველდღიურობის უზრუნველყოფასა და მომავლის სწორად დაგეგმვაში.

თიბისი ბანკის პროექტი „ფინანსური რჩევები“ წლის დასაწყისში სალომე შელიასთან ერთად დაიწყო. პროექტის პირველმა სეზონმა მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობა და ამასთან, საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. კერძოდ, ბრიტანული კომანიის BOC ორგანიზებით გამართულ ბიზნესდაჯილდოებაზე Business brilliance Awards 2014 გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი ამ ინოვაციური პროექტის შექმნისთვის დაჯილდოვდა.

ნათია ზედგინიძე წარმატებული ბიზნეს-კონსულტანტი და გამოცდილი ტრენერია. ჰქონდა წარმატებული საკონსულტაციო პრაქტიკა ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრში (CTC), ეხმარებოდა რა სხვადასხვა კომპანიებს (ბიზნესს, საჯარო სექტორს და არასამთავრობო ორგანიზაციებს) შიდამენეჯმენტის სისტემების გაუმჯობესების საკითხებში და შესაბამისად საქმიანობის ეფექტურობის ზრდაში. ნათიას მინიჭებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის, მაგისტრის და ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში. ასევე, ფლობს კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნესსკოლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. აქვს ლექტორის მრავალწლიანი კარიერა.

„ჩემი მიზანია, ადამიანებს ის ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო, რომელიც დაეხმარება ფინანსურად სწორი, მართებული გადაწყვეტილებების მიღებაში, თუმცა ცხადია, ჩემი რჩევები ვერ იქნება უნივერსალური და ყველასთვის მისაღები, რადგან, დამეთანხმებით, თითოეული ადამიანის სიტუაცია განხსვავებულია, ჩემს მისიას შესრულებულად ჩავთვლი, თუკი მაყურებელი ჩემს მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და რჩევებზე დაყრდნობით, მიიღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს და იხელმძღვანელებს ამ ცოდნით სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის შერჩევისას თუ სარგებლობისას. ჩემს გადაცემაში ასევე ვისაუბრებ იმ სტერეოტიპებსა და დამოკიდებულებაზე, რომელიც ხშირად ხელს გვიშლის, მივიღოთ სწორი ფინანსური გადაწყვეტილება. ასე რომ, ვფიქრობ, წინ ბევრი საინტერესო თემა გველის და მაყურებელს მოვუწოდებ, გვიყუროს და მიიღოს მონაწილეობა ჩვენს პროექტში“, — აცხადებს **ნათია ზედგინიძე**.

უვარგისი წამლები

მე-9 გვერდიდან

დისბაქტერიოზთან ბრძოლის საშუალებები — მიიჩნევა, რომ პრებიოტიკები, რომლებიც სასარგებლო ბაქტერიებს შეიცავს, არავის ვნებს, მაგრამ რეალურად, ისინი არაეფექტურია, რადგან ყველა ბაქტერია, Helicobacter pylori-ს გარდა, ნადგურდება კუჭში, სხვაგვარად ადამიანი დიდი ხნის გადაშენებული უნდა იყოს; გარდა ამისა, ალოგიკურია — თუ ანიტიბიოტიკები ანადგურებს მიკროფლორას, რატომ ვერაფერს ვნებს ხელოვნურ ბაქტერიებს? ამ კითხვაზე პასუხი არსებობს, მაგრამ ეს მედიცინის კი არა, უფრო ეკონომიკის სფეროა.

ვალოკორდინსა და კორვალოლს მსუბუქი დამამშვიდებელი ეფექტი აქვს, მაგრამ მათი სამკურნალო საშუალებად გამოყენება აზრად ერთ კარდიოლოგსაც არ მოუვა. თუ ბებიამ გულზე ხელი იმიტომ წაივლო, რომ შვილიშვილმა არ დაუჯერა, შეიძლება, ამ წვეთებმა უშველოს, მაგრამ თუ გულთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ვლინდება, ეს წამლები ყოვლად უსარგებლოა.

ბრილიანტის მწვანე ანუ ყველასთვის ესოდენ ნაცნობი „ზელიონკა“, როგორც ანტისეპტიკური საშუალება, მეტად სუსტია და ჩვეულებრივ სპირტზე ეფექტურიც არაა.

„დიკლოფენაკი“ — ტკივილგამაყუჩებელი თუ საფრთხე

დიდი ბრიტანეთისა და კანადის კლინიკური ფარმაკოლოგიის სპეციალისტებმა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას მოუწოდეს, აკრძალოს მეტად პოპულარული ტკივილგამაყუჩებელი — დიკლოფენაკი. ნაშრომში, რომელიც ჟურნალ PLOS Medicine-ში გამოქვეყნდა, პატრისია მაკგეტიგენი და დევიდ ჰენრი აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს დაამტკიცეს, რომ დიკლოფენაკი, ხანგრძლივი მიღებისას ისევე, როგორც 2004 წელს აკრძალული პრეპარატი ვიოქსი, დაახლოებით, 40 პროცენტით ზრდის ინფარქტისა და გულსისხლძარღვთა სხვა დაავადებების რისკს, თუმცა მიუხედავად ამისა, დიკლოფენაკი მსოფლიოს 15 ქვეყანაში მაინც ყველაზე გავრცელებული პრეპარატია, 74 ქვეყანაში კი პირველადი მოხმარების წამლებს შორისაა და თანაბარი პოპულარობით სარგებლობს როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ სახელმწიფოებში.

მაკგეტიგენი და ჰენრი აქცენტირებენ, რომ ამ წამლის კვლევის შედეგები თავის დროზე მკაცრად გაასაიდუმლოეს და ინფორმაციას, მისი მოხმარების რისკებთან დაკავშირებით, მოსახლეობის ყურამდე არც მიუღწევია. „თუ გავითვალისწინებთ ბევრად უსაფრთხო ანალოგების არსებობას, დიკლოფენაკი უნდა ამოიღონ სასიცოცხლოდ აუცილებელი პრეპარატების შემადგენლობიდან; გარდა ამისა, არსებობს საკმაო მტკიცებულება ამ წამლის მსოფლიო გაყიდვიდან

დიკლოფენაკი ინფარქტს იწვევს

ამოსაღებად“, — აცხადებენ კვლევის ავტორები. The Daily Telegraph-თან ინტერვიუში კი ბრიტანული წამლის მარეგულირებლის, Medicines and Healthcare Products Regulatory Agency (MHRA)-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დიკლოფენაკის ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი გადაწონის გვერდითი მოვლენების რისკს და ამიტომ მოსახლეობას ურჩევს, წამალი მინიმალური დოზით მიიღოს.

ფრთხილად — მავნე წამლები!

მეტად გავრცელებული და პოპულარული ასპირინი, როგორც ირკვევა,

საფრთხისშემცველია ბავშვებისთვის 12 წლამდე, ექიმმა ვირუსოლოგებმა დაამტკიცეს, რომ „ღორის გრიპის“ მკურნალობისას, შეიძლება, დაავადებული კომატოზურ მდგომარეობამდე მიიყვანოს. მისი მიღება არასასურველია ჩვეულებრივი გრიპის დროსაც. რაც შეეხება მეორე პოპულარულ პრეპარატ პარაცეტამოლს, თუ ჟურნალ „შტერნში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, მისი მიღების შედეგად, ყოველდღიურად, 30 ათასი ადამიანი თირკმლის ქრონიკული დაავადებით ავადდება და საკმაოდ საშიშია ბიჭებისთვის 7 წლამდე.

რა პოზიცია აქვს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მსგავს ინფორმაციებზე? — „ვერსიას“ ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაცევტული საქმიანობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსი ნაილი შენგელიძე ესაუბრა:

„ამა თუ იმ ინფორმაციას თვალყურს აქტიურად ვადევნებთ, მაგრამ როგორც სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო, ვმოქმედებთ კანონის შესაბამისად. თქვენ მიერ დასახელებული პრეპარატები წლებია, აპრობირებულია, მესამე ჯგუფს მიეკუთვნება და ხელმისაწვდომია რეცეპტის გარეშე. რაც შეეხება რისკებს, მოქმედი კანონმდებლობით, სამედიცინო და სააფთიაქო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, ნებისმიერი მოქალაქე კი უფლებამოსილია, ნებისმიერ წამალთან დაკავშირებული გამოვლენილი გვერდითი ეფექტის შემთხვევაში, ოფიციალურად გვაცნობოს. შეტყობინების გარეშე, ჩვენს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებულ პრეპარატებთან მიმართებაში, სააგენტო უფლებამოკლებულია, რამე ღონისძიება გაატაროს.

კანონმდებლობა არეგულირებს, რა შემთხვევაში შეიძლება შეჩერდეს ამა თუ პრეპარატის რეგისტრაცია, თუმცა ვიმეორებ, ამის საფუძველი უნდა არსებობდეს — უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები ან ინფორმაცია ოფიციალურ საიტზე — რა პრეპარატის მიმართ ვიყოთ ყურადღებით და რომელი დავუშვათ ან არ დავუშვათ ბაზარზე. რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში, ეცნობოს მწარმოებელს გამოვლენილი ხარვეზების შესახებ და ვიდრე რისკფაქტორები (გააჩნია რისკის ხარისხს) არ მოიხსნება, შეჩერდეს მიმოქცევა. იმ წამლების შესახებ კი, რომელიც ახსენეთ, რეკომენდაცია არ მიგვიღია და ვინმეს არც გვერდითი მოვლენების შესახებ განუცხადებია...

სამედიცინო საზოგადოება რომ გამოგვეფხიზლებინა, გარკვეული პერიოდის წინ, ყველა დაწესებულებას წერილი გავუგზავნეთ და შევახსენეთ, რომ კანონმდებლობით აქვთ ვალდებულება, გვერდითი მოვლენების შემთხვევაში, შემდგომი რეაგირებისთვის, სააგენტოს აცნობონ. 95 პროცენტში, მოგვივიდა პასუხი, რომ გვერდითი ეფექტები მათ დაწესებულებაში არ გამოვლენილა. ვერ გეტყვით, ეს რეალობას რამდენად შეესაბამებოდა, მაგრამ სწორედ საკითხის გასააქტიურებლად ჯანდაცვის სამინისტრო საკანონმდებლო დონეზე გეგმავს რიგ ღონისძიებებს, მაგალითად, ფარმაცევტების გადამზადებას, რომლებიც კლინიკებში იქნებიან და აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას მოაგროვებენ“.

ჯანდაცვის სამინისტროს ეს ინიციატივა ცუდი ნამდვილად არაა — სხვა თუ არაფერი, პრეპარატებზე მოსახლეობასაც მეტი ინფორმაცია ექნება, თუნდაც მეტად პოპულარულ აკვა-მარისზე, რომელიც, როგორც გაირკვა, კარგა ხანია სამკურნალო საშუალებად აღარ მიიჩნევა:

„აკვა მარისი, როგორც სამკურნალო საშუალება, 2006 წელს დაარეგისტრირეს, მაგრამ მერე შეხედულებები შეიცვალა — 2011 წელს თავად მწარმოებელმა სტატუსი შეუცვალა და სამედიცინო დანიშნულების პროდუქტს მიაკუთვნა. ხელახალი რეგისტრაცია არ გავავლევინეთ — უარი იმიტომ ვუთხარით, რომ ეს ფარმაცევტული კი არა, სამედიცინო პროდუქტი იყო. აქედან გამომდინარე, აკვა-მარისი ჩვენ ბაზარზე როგორც სამკურნალო საშუალება აღარ მიმოიქცევა,

სამედიცინო დანიშნულების საგნები კი სააგენტოს კომპეტენციას სცილდება“, — განაცხადა ნაილი შენგელიძემ.

სუდოკუ ყველა

ადვილი

								2
		9		5				6
	3		1		7		4	8
				7	3	8		
3			4		1			5
		4	9	8				
9	6		3		8		2	
2				6		4		
4								

სტანდარტი

6	5		8	3				
2	3							
9			1		5			
8						2		
3			7	2	1			8
		9						7
			3		9			5
							4	3
				5	8		9	1

რთული

7	9		2	5		3		
8		5					4	
3					8			
	8		5					
2			8		7			4
					9		7	
			9					2
	6					9		3
		8		3	2		6	7

ექსპერტი

7	3			2			5	
5	1		4					
				7				8
3							6	
4		7	5		3	8		9
	8							1
2				8				
					6		9	2
	5			4			8	7

კიბო ერთი ნემსით შეაჩერეს

ბრიტანელმა მეცნიერებმა ბრისტოლისა და ნოტინჰემის უნივერსიტეტიდან, შესაძლოა, აღმოჩენა გააკეთეს მედიცინაში — იპოვეს მოლეკულა, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს სისხლძარღვების ფორმირებაში. სიმსივნეს ზრდისთვის გამუდმებით სჭირდება სისხლითა და სხვა ნივთიერებებით კვება, ამიტომაც, სისხლის ნაკადის შეწყვეტამ, შეიძლება, ხელი შეუშალოს ავთვისებიანი სიმივნის ზრდასა და ორგანიზმში გავრცელებას. ამ მეთოდმა, რომელიც სწავლულებმა ლაბორატორიულ თაგვებზე გამოსცადეს, გაამართლა. მათ კვირაში სამ ინექციას უკეთებდნენ. პრეპარატმა, რომელიც „თიშავდა“ მოლეკულა SRPK1-ს, კიბოს ზრდა შეაჩერა. თეორიულად, მკურნალობის ახალი მეთოდი მეტად პერსპექტიულია. რაკიღა სისხლძარღვებზე მოქმედებს, შესაძლოა მისი გამოყენება სიმსივნის სხვა ფორმების წინააღმდეგაც იყოს გამართლებული, ასევე თვალის ბადურას დეგენერაციის დროს, რაც სიბრმავის ყველაზე გავრცელებული მიზეზია.

უკეკ კარიესისგან გვიცავს

ყავის მოყვარულებმა, ალბათ, კარგად იციან ამ სასმელის სასარგებლო თვისებების შესახებ — მას შეუძლია წრაფად მოიყვანოს ადამიანი ტონუსში ძილის შემდეგ, აავსოს ენერგიით, გააძლიერის აზრობრივი და ფიზიკური რეაქციები. ასეთი ეფექტი განპირობებულია ყავის ზემოქმედებით თავის ტვინის გარკვეულ უბნებზე. კოფეინი ავიწროებს სისხლძარღვებს, რაც აადვილებს სუნთქვას და კუნთებს კუმშავს. ასე რომ, ერთი ფინჯანი ყავა დილით ორგანიზმს „ამზადებს“ აქტიური მოქმედებისთვის მთელი დღის განმავლობაში. ვისაც შავი ყავა უყვარს, ალბათ, არაერთხელ სმენია სტომატოლოგისგან, რომ ყავა მავნებელია კბილებისთვის. ბრაზილიელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა კვლევამ კი აჩვენა, რომ ეს „ღვთაებრივი სასმელი“ დადებითად მოქმედებს კბილებზე, იცავს მას კარიესისგან, ეფექტური დამცველია პირის ღრუს მავნე ბაქტერიებისგან. ბრაზილიელმა მკვლევარებმა ისიც აღმოაჩინეს, რომ ყავის მარცვალს აქვს ანტიბაქტერიული მოქმედება. ასე რომ, უშაქრო ყავის ზომიერმა მოხმარებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ჯანმრთელი კბილების შენარჩუნებას.

ახალი ავტომანქანა კიბოს იწვევს?

ექსპერტები გვირჩევენ, ახალი ავტომობილის ყიდვიდან, ერთი თვის განმავლობაში, მასში რაც შეიძლება ნაკლები დრო გავატაროთ — დღეში მხოლოდ საათნახევარი. წინააღმდეგ შემთხვევაში არის რისკი, იმ ქიმიური ნაერთების ტოქსიკური ზემოქმდების ქვეშ მოვექცეთ, რომელთაც ახალთახალი მანქანის სალონის ჰაერი შეიცავს. სამედიცინო კვლევის მიხედვით, სალონების დასამზადებლად ქიმიური წარმოების პროდუქტს — პლასტმასს, ჰერმეტიკს... იყენებენ. ისინი კი

თავის მხრივ საფრთხეს უქმნი ადამიანის ჯანმრთელობას. კერძოდ, სალონის გასაფორმებელ დეტალებში არის ფენოლი, ქსილოლი, ქლორი და ბრომი. მზის სხივებისა და ტემპერატურის ზემოქმდების შედეგად, ისინი ორთქლდება, რაც ნეგატიურად აისახება ნერვულ სისტემაზე, ლორწოვან გარსზე, ფილტვებზე, თირკმელებსა და ჰორმონალურ ბალანსზე, ასევე სმენის ორგანოებზე. სპეციალისტების მტკიცებით, ასეთი ჰაერის შესუნთქვა არა მხოლოდ სურდოსა და ალერგიას იწვევს, არამედ ზრდის სიმივნური დაავადებების წარმოქმნის ალბათობას. გარდა ამისა, მედიკოსები გვაფრთხილებენ, რომ ავტომანქანის სალონის დეტალები საკმაო როდენობით ტყვიას შეიცავს, რომელიც მძიმე მეტალების რიგიდანაა. ასეთი ჰაერის შესუნთქვა კი რეპროდუქციული სისტემის ფუნქციონირებას აფერხებს. სალონში გამოყენებული ტყავიც სპეციფიკურ არომატს გამოსცემს — მას ალდეჰიდი გამოსცემს, ქიმიკატები, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს სასუნთქ სისტემაზე, მხედველობაზე, აღიზიანებს ლორწოვან გარსს. ექსპერტების რეკომენდაციების შესრულება კი ამ მავნე ქიმიური ნაერთების ზემოქმედებისგან დაგიცავთ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

6	5	8	4	7	9	2	3	1
4	7	3	2	8	1	6	9	5
2	1	9	6	5	3	8	4	7
5	8	6	3	4	7	1	2	9
1	9	4	5	2	8	3	7	6
3	2	7	1	9	6	5	8	4
9	6	5	8	3	4	7	1	2
8	4	2	7	1	5	9	6	3
7	3	1	9	6	2	4	5	8

სტანდარტი

7	5	4	1	8	9	6	3	2
6	3	2	7	5	4	1	9	8
1	9	8	6	3	2	4	7	5
3	4	7	5	2	8	9	6	1
2	8	6	9	1	3	7	5	4
9	1	5	4	7	6	8	2	3
4	7	1	3	9	5	2	8	6
8	6	3	2	4	7	5	1	9
5	2	9	8	6	1	3	4	7

რთული

8	4	2	1	9	3	6	7	5
1	7	6	5	8	2	4	3	9
9	3	5	7	4	6	2	1	8
7	8	3	6	5	4	1	9	2
6	2	1	3	7	9	8	5	4
5	9	4	2	1	8	3	6	7
4	1	9	8	6	7	5	2	3
3	6	8	9	2	5	7	4	1
2	5	7	4	3	1	9	8	6

ექსპერტი

5	8	4	1	6	7	2	3	9
9	3	7	8	4	2	1	5	6
6	2	1	3	5	9	4	8	7
8	7	9	6	3	1	5	4	2
1	4	2	9	8	5	7	6	3
3	6	5	7	2	4	9	1	8
4	5	8	2	9	6	3	7	1
2	1	6	5	7	3	8	9	4
7	9	3	4	1	8	6	2	5

მე-10 გვერდი: 1. შამპუნი; 2. ალგოლი; 3. პედიატრი; 4. ნუუკი; 5. შერხანი; 6. ელზასი; 7. ხუნაგი; 8. ნიავი; 9. ალმასი; 10. მეანდრი; 11. საბაოთი; 12. ბულდოგი; 13. ასაგაი; 14. არვე; 15. აპლიკაცია; 16. კარნიზი; 17. სკოლა; 18. ქსენოფობი; 19. კობრა; 20. ინრო; 21. პირი; 22. დიეტა; 23. იარდალი; 24. რივიერა; 25. რეკეტი; 26. სანგარი; 27. ბონბონიერი; 28. სოლ; 29. დანია; 30. ორლეანი; 31. ბიურო; 32. ნიუტონი; 33. არა; 34. ანგარი; 35. უშუ; 36. ხორავა; 37. ნეკი; 38. დიდედა; 39. დოროთეა; 40. კირი; 41. რეა; 42. ორხაო; 43. დალი; 44. ბმა; 45. გაბრო; 46. ტიარა; 47. რიგა; 48. ტერ; 49. ფლორა; 50. ფიცი; 51. ორო; 52. მნე; 53. იენა; 54. ზმნა; 55. გოია; 56. აბა; 57. ყაიმი; 58. იდა; 59. მი.

მე-12 გვერდი: 1. ფრესკა; 2. რიკოშეტი; 3. სპარტაკი; 4. მსხალი; 5. სკუნსი; 6. ანორექსია; 7. აკვანი; 8. ატესტატი; 9. იმანუილ; 10 სუდოკუ; 11. რაინერი; 12. ალერსი; 13. ვიზა; 14. ფშატი; 15. მატე; 16. იაქი; 17. აგუტი; 18. მნემოსინე; 19. ედა; 20. მაკეტი; 21. მედიე; 22. ემსი; 23. ნიავი; 24. ნისია; 25. ნაბლა; 26. ბენჯამენ ფრანკლინი; 27. ემილ; 28. უმი; 29. ვანდეა; 30. რაე; 31. კაბოშონი; 32. ტალმა; 33. მანგო; 34. ლოტი; 35. დილა; 36. კოფი; 37. მოგადიშო; 38. ამინ; 39. მორისონი; 40. კოდალა; 41. ბოუი; 42. ჰიუნდაი; 43. ლისი; 44. რკო; 45. ბრავადა; 46. ურნა; 47. ციგა; 48. ფილატელია; 49. ნიშანი; 50. ირაო; 51. ათაბაგი; 52. მაფრაშა; 53. ვაცლავ; 54. ხიმე; 55. ფესი; 56. შარაპოვა; 57. სიმი; 58. აშდოდი; 59. რაშოვდა; 60. უნია; 61. კარიბუ; 62. იაკი; 63. ეხი; 64. ფაი; 65. არმანდო; 66. ნავახა; 67. ოლე; 68. შამაია; 69. ესე; 70. სოლ; 71. პარაშუტი; 72. ხვალ; 73. ხევი; 74. ნერონი; 75. ოინი; 76. რუ; 77. ალი; 78. სკა; 79. ია; 80. ნატი; 81. გორდა; 82. ივანე; 83. ელინი; 84. იულია.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge